# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 29 ივნისი 2002 №119 (1641) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრაზილია VS გერმანია

# ფინალი რომელსაც 17 მსოფლიოს ჩემპიონატი დასჭირდა



ხვალ სალამოს ბევრი გაიფიქრებს: როდის გავა კიდევ ოთხი წელი...

ეს ფიქრი ყოველი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის დასრულების მერე ჩნდება და გამონაკლისი არც კორეა-იაპონიის მუნდიალი უნდა იყოს. მით უფრო, რომ ეს ჩემპიონატი რაღაც სხვანაირი გამოდგა.

ამ ჩემპიონატს დაწყების დღიდან მოჰყვება გაოცება, გაოგნება, იმედგაცრუება. თითქმის ყველაფერი, რაც წლიდან წლამდე კანონად ქცეულიყო, დაირღვა. დიდი გუნდები ერთიმეორეს მიყოლებით გაქრნენ, პატარებმა კი გაილაღეს. თავისთავად ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ მსაჯთა აურაცხელმა შეცდომებმა უსიამოვნო ფიქრები აღძრა. გაჩნდა შიშიც: რაგინდ კარგად თამაშობდეს იგივე სენეგალი, გულშემატკივარი მაინც ბობოლათა პაექრობის მოლოდინშია.

ჩემპიონატი მიილია, გიგანტთა ბრძოლა კი არ გამოერია. კი, იყო არგენტინა — ინგლისი და ბრაზილია — ინგლისი, მაგრამ დაუვიწყარი თამაშები არ ყოფილა, მხოლოდ ცალკეული დასამახსოვრებელი ეპიზოდები იყო, რაც ქომაგის ოთხწლიან მოლოდინს ვერაფრით დააკმაყოფილებდა.

ვინძლო, ფინალი მაინც იყოს ამ მოლოდინის გამმართლებელი. შანსი არის: ბრაზილია და გერმანია თავიანთი კონტინენტებისა და მსოფლიოს უტიტულოვანესი გუნდები არიან.

დიდი მატჩის მოლოდინის სხვა მიზეზებიც ვთქვათ:

ბოლო 52 წელია, მხოლოდ ერთხელ მოხდა, რომ ფინალში არც ბრაზილია იყო და არც გერმანია და ამის გამო საოცარია, რომ არათუ ფინალში, საერთოდ მსოფლიოს ჩემპიონატებზე ისინი არასდროს გადაჰყრიან ერთმანეთს. ხვალ ტიტანთა პირველი საჩემპიონო შებმაა.

ფინალში ხვდებიან გუნდები, რომელთაგან ერთმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველაზე ნაკლები გოლი გაუშვა, მეორემ კი ყველაზე მეტი გაიტანა. აქეთ ოლივერ კანია, იქით რონალდო.

გერმანიას აქვს შანსი, გახდეს პირველი ევროპული ქვეყანა, რომელიც უცხო კონტინენტზე მოიპოვებს სანუკვარ ჯილდოს. გერმანიასვე შეუძლია გახდეს პირველი გუნდი, რომელიც სამჯერ მოიგებს ახლანდელ მსოფლიოს თასს. მოგეხსენებათ, ძველი ოქროს ქალღმერთი ბრაზილიელთა მესამედ გაჩემპიონებას შეეწირა.

ბრაზილიამ ტეტრა თუ პენტაკამპეონეობად აქცია, სულ მცირე, რვა წელიწადი ვერავინ შეძლებს ამ შედეგის გამეორებას.

და გახსოვთ, როგორ მოვიდნენ ესენი ფინალამდე? ბრაზილიამ შესარჩევ ეტაპზე ექვსი თამაში წააგო, გერმანია კი ინგლისთან სასტიკად შერცხვა, ხოლო მუნდიალის ექვს მატჩში მართლაც ღირსეული მეტოქე არ გამოუჩნდა. თუმცა ეს ამბავი ფინალის დასაკნინებლად არ გაგვიხსენებია.

დღეს კი მესამე ადგილისთვისაა მატჩი. ბრინჯაოსთვის თამაშს ისედაც ყველა ალმაცერად უყურებს და თან გერმანია — ბრაზილიის წინ კორეა — თურქეთი რა ბედენაა...

# კორეა-იაპონია 2002. ფინალი. №64

# გერმანია VS ბრაზილია

## სავარაუდო შემადგენლობა

1. ოლივერ კანი — 32 წლის. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე. გერმანელთა კაპიტანი და 1998 წლის შემდეგ, რაც ანდრეას კეპკე პენსიაზე გავიდა, უპირობო და შეუცვლელი ნომერი პირველი. გარეგნობის გარდა, მტკიცე, ხანდახან აგრესიული ხასიათი გამოარჩევს, რისთვისაც არცთუ იშვიათად მსაჯთაგან გაფრთხილებებით საჩუქრდება.

2. თომას ლინკე — 32 წლის. გამოცდილი მცველი, საიმედო პერსონალური მეურვე. ნაკრების ძირითადშია 1998 წლიდან, მას შემდეგ, რაც „შალკე" დატოვა და „ბაიერნს" შეუერთდა. ნათამაშები აქვს სამი ევროფინალი. გელზენკირხენელებთან ერთად მოუგია უეფას თასი. 1999-ში „ბაიერნთან" ერთად ჩემპიონთა ლიგის ფინალი დათმო, თუმცა 2001 წელს იმავე ჩემპიონთა ლიგაში ბავარიელებთან ერთად იპირველა.

21. კრისტოფ მეცელდერი — 22 წლის. მაღალი და სწრაფი მცველი. კორეა-იაპონიის ჩემპიონატამდე ნაკრების არც ერთ თამაშში არ მიუღია მონაწილეობა. იგი „დორტმუნდში" მესამე დივიზიონის გუნდიდან 2000 წელს გადავიდა და მალევე დამკვიდრდა ძირითადში.

22. ტორსტენ ფრინგსი — 25 წლის. 1996 წელს აახენის „ალემანიიდან" ბრემენის „ვერდერში" გადავიდა. წლეულს ჩინებული სეზონი ჰქონდა, რითაც დორტმუნდელთა მწვრთნელის მათიას ზამერის ყურადღების ცენტრში მოექცა. მისი გადაბირება „ლევერკუზენს", „ჰერტასა" და ლონდონურ „არსენალს" სურს.

8. დიტმარ ჰამანი — 31 წლის. მებრძოლი ნახევარმცველი. ყოფილი ბაიერნელი და ნიუკასლელი ამჟამად ლივერპულის შუა ხაზის ბურჯია. შესანიშნავად ასრულებს ჯარიმებს, რომელთაგანაც გამოვარჩევთ „უემბლიზე" ინგლისელთა კარში გატანილს მუნდიალის საკვალიფიკაციო მატჩში.

16. იენს იერემისი — 28 წლის. ხისტი და სწრაფი ფეხბურთელი, კარგად ერთვება შეტევებშიც, წლევანდელი სეზონი მუხლის ტრავმის გამო ჩაუვარდა, თუმცა ნელ-ნელა ფორმაში შედის და რუდი ფოლერის ერთ-ერთი საყრდენიცაა.

5. კარსტენ რამელო — 28 წლის. ჭკვიანი ნახევარმცველი, რომელიც მოედანზე დიდ მონაკვეთს აკონტროლებს, ფიზიკურად ძლიერია და თამაშსაც კარგად ხედავს.

19. ბერნდ შნაიდერი — 28 წლის. სოლიდური ნახევარმცველი, რომელიც ერთ-ერთი ბურჯია შუა ხაზისა, როგორც კლუბში, ასევე ნაკრებში. ნახევარდაცვაში ისიც საკმაოდ ბევრს მუშაობს, ამავდროულად აქვს გამოზომილი და მახვილგონივრული პასები, რომელთა უმეტესობა იერიშებს ამწვავებს.

17. მარკო ბოდე — 32 წლის. ვერდერელი ვეტერანი. წლეულს არცთუ ურიგო სეზონი ჰქონდა, გაიტანა თავის მეასე საკლუბო გოლი. შეუძლია გოლის შეგდება მაშინ, როდესაც მისგან გატანას არავინ ელის.

11. მიროსლავ კლოზე — 24 წლის. მუნდიალის შესაძლო მთავარმეგოლე. „კაიზერსლაუტერნში" „ჰამბურგიდან" გადავიდა. ჩემპიონატში გატანილი ხუთივე გოლი თავით შეაგდო.

7. ოლივერ ნოივილი — 29 წლის. სწრაფი და ფიზიკურად ძლიერი თავდამსხმელი. ტანად მორჩილია, მაგრამ ძალიან მოძრავი, აკეთებს კარგ პასებს საჯარიმოში და მეტოქის კართან თვითონაც აქტიურობს.

ხვალ. იოკოჰამა (იაპონია).
„ინტერნეიშენელ სთედიუმ იოკოჰამა". 16.00

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)



## მსოფლიო პრემიერა

ხვალ, იოკოჰამაში, ფინალის წინ გერმანელი და ბრაზილიელი ფეხბურთელები ერთმანეთს ხელს რომ ჩამოართმევენ, არ უნდა გაგიკვირდეთ ძალიან გაოცებული სახეები თუ ექნებათ – მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ გუნდს ერთად შვიდჯერ აქვს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოპოვებული და როგორც ერთისთვის, ასევე მეორისთვის, ეს ფინალი მეშვიდეა, ისინი არასდროს გადაყრიან ერთმანეთს: ბრაზილიისა და გერმანიის დაპირისპირება მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიას არ ახსოვს. ეს ორი დიდი გუნდი ერთმანეთს მხოლოდ ამხანაგურ მატჩებში შეხვედრიან.

## ურთიერთშეხვედრები

| | | | |
|---|---|---|---|
| 5.05.63 | ჰამბურგი | გფრ 1:2 ბრაზილია | ა.მ. |
| | | ვერნერი; კოუტინიო, პელე | |
| 6.06.65 | რიო დე ჟანეირო | ბრაზილია 2:0 გფრ | ა.მ. |
| | | ფლავიო, პელე | |
| 16.06.68 | შტუტგარტი | გფრ 2:1 ბრაზილია | ა.მ. |
| | | ბ. დორფელი, ჰელდი; ტოსტაო | |
| 14.12.68 | რიო დე ჟანეირო | ბრაზილია 2:2 გფრ | ა.მ. |
| | | ედუ (2); ჰელდი, გერვიენი | |
| 16.06.73 | ბერლინი | გფრ 0:1 ბრაზილია | ა.მ. |
| | | დირსეუ | |
| 26.06.74 | ჰანოვერი | გდრ 0:1 ბრაზილია | მ.ჩ. |
| | | რიველინო | |
| 12.06.77 | რიო დე ჟანეირო | ბრაზილია 1:1 გფრ | ა.მ. |
| | | რიველინო; ფიშერი | |
| 5.04.78 | ჰამბურგი | გფრ 0:1 ბრაზილია | ა.მ. |
| | | ნუნეში | |
| 7.01.81 | მონტევიდეო | ბრაზილია 4:1 გფრ | კ.მ. |
| | | ჟუნიორი, სერეზო, სერჟინიო, ზე სერჟიო; ალოფსი | |
| 19.05.81 | შტუტგარტი | გფრ 1:2 ბრაზილია | ა.მ. |
| | | ფიშერი; ბალთაზარი (2) | |
| 26.01.82 | ნატალი | ბრაზილია 3:1 გდრ | ა.მ. |
| | | პაულუ ისიდორო, რენატო, სერჟინიო; დორნერი | |
| 21.03.82 | რიო დე ჟანეირო | ბრაზილია 1:0 გფრ | ა.მ. |
| | | ჟუნიორი | |
| 12.03.86 | ფრანკფურტი | გფრ 2:0 ბრაზილია | ა.მ. |
| | | ალოფსი, ბრიგელი | |
| 8.04.86 | ჟოანია | ბრაზილია 3:0 გდრ | ა.მ. |
| | | მიულერი, ალემაო, კარეკა | |
| 12.12.87 | ბრაზილია | ბრაზილია 1:1 გფრ | ა.მ. |
| | | ბატისტა; როიტერი | |
| 13.05.90 | რიო დე ჟანეირო | ბრაზილია 3:3 გდრ | ა.მ. |
| | | ალემაო, კარეკა, დუნგა; დოლი, ერნსტი, შტაინმანი | |
| 16.12.92 | პორტუ ალეგრი | ბრაზილია 3:1 გერმანია | ა.მ. |
| | | ლუის ენრიკე, ბებეტო, ჟორჟინიო; ზამერი | |
| 10.06.93 | ვაშინგტონი | ბრაზილია 3:3 გერმანია | ა.მ. |
| | | კარეკა (2), ლუიზინიო; კლინსმანი (2), მიოლერი | |
| 17.11.93 | კიოლნი | გერმანია 2:1 ბრაზილია | ა.მ. |
| | | ბუხვალდი, მიოლერი; ევაირი | |

შენიშვნა: ა.მ. — ამხანაგური მატჩი, მ.ჩ. — მსოფლიოს ჩემპიონატი, კ.მ. — კოპა მუნდიალიტო

## სავარაუდო შემადგენლობა

1 მარკოსი, 28 წლის: კარგა ხანს პირველ მეკარედ არავინ თვლიდა. სანამ ოცდაექვსისა მოიყრებოდა, იგი თავის კლუბ „პალმეირასშიც" სათადარიგო გახლდათ. მისი აღმასვლა 1999 წლიდან დაიწყო, როდესაც „პალმეირასმა" ლიბერტადორესის თასი მოიგო, რაშიც მარკოსის საიმედო თამაშმა გვარიანი წვლილი შეიტანა.

3 ლუსიო, 24 წლის: საიმედო მცველია, კარგად თამაშობს თავით. ეროვნული გუნდის ძირითად შემადგენლობაში ლუიშ ფელიპე სკოლარის გამწვრთნელების შემდეგ ადგილი დაჯავშნული აქვს.

4 როკე ჟუნიორი, 25 წლის: „პალმეირასში" დაფრთიანდა, სადაც მას ორი წლის განმავლობაში „დიდი ფილი" წვრთნიდა. ითამაშა შესარჩევი ეტაპის მატჩების ნახევარი. ამჟამად „მილანშია", ნაკრების ძირითად შემადგენლობაში კი იშვიათად ხვდებოდა.

2 კაფუ, 32 წლის: ძალიან გამოცდილი ფეხბურთელია, კარგად აკონტროლებს მთელ მარჯვენა ფრთას. ერთვება შეტევებში და აქვს გამოზომილი პასი. ეს მისთვის მესამე მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალია. ორჯერ მოგებული აქვს ლიბერტადორესის თასი.

6 რობერტო კარლოსი, 29 წლის: მარცხენა მცველია, ყუმბარისებული ცაციათი. ფიზიკურად ძლიერი, მთელ ფლანგზე მოძრაობს. მისი შეტევებში ჩართვა და საჯარიმო დარტყმები ერთობ სახიფათოა.

5 ედმილსონი, 25 წლის: საიმედოა როგორც დაცვის ცენტრში, ასევე ნახევარდაცვაში.

8 ჟილბერტო სილვა, 25 წლის: ჩამშლელი ნახევარმცველია. საიმედოა მეტოქის იერიშებისას, აქვს კარგი პასი და არც ტექნიკასთან არის მწყრალად.

15 კლებერსონი, 23 წლის: შემტევი ნახევარმცველია. ნაკრების ხელმძღვანელობის ყურადღება „ატლეტიკო პარანენსეში" კარგი თამაშით მიიპყრო. „დიდმა ფილმა" მუშა კლებერსონი ჟუნინიოს ამჯობინა და მუნდიალის ბოლო თამაშებში ძირითად შემადგენლობაში ჰყავს.

10 რივალდო, 30 წლის: მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია. თამაშის შემქმნელი და არანაკლები მეგოლე, მსოფლიოს 1999 წლის საუკეთესო ფეხბურთელი.

11 რონალდინიო, 22 წლის: ჩინებულად ფლობს ბურთს, აქვს მახვილგონივრული მოკლე პასი. მუნდიალის ჯგუფურ ეტაპზე მაინცადამაინც ვერაფრით გამოირჩა, თუმცა შემდეგ მოუმატა და ფინალში, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე შესამჩნევი იქნება.

9 რონალდო, 25 წლის: ტრავმამოშუშებულ და ფენიქსივით აღმდგარ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელს, მსოფლიოს ჩემპიონატებზე დღემდე ათი გოლი აქვს გატანილი. მსოფლიოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელია.

# გერმანია VS ბრაზილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიოლერი არ კან-კალებს



ბალაკობა იენს იერემისმა და დიტმარ ჰამანმა (მარჯვნივ) უნდა გასწიონ



გერმანელები რონალდინიოსა და რონალდოს უფრთხიან



**გეხსომებათ,** ტურნირის წინ ფავორიტებად ფრანგებსა და არგენტინელებს თვლიდნენ, მაგრამ ერთიცა და მეორეც პირველივე ეტაპიდან დაემშვიდობა შეჯიბრებას, ბრაზილიამ და გერმანიამ კი ერთგვარი ჩრდილიდან დაიწყეს და საბოლოოდ მცხუნვარე მზეში ამოყვეს თავი.

გავიხსენოთ ტოტალიზატორების კოეფიციენტებიც. ბრაზილიის გასწვრივ რიცხვები 6-1 და 13-2-ს შორის მერყეობდა, გერმანიის გასწვრივ კი საერთოდ საშინელება ეწერა: 12-1 და ზოგან 16-1-ც კი, მაგრამ, ძალიან ხშირად ხდება, როდესაც თამაშს ორი სერიოზული გუნდი იწყებს, სულერთია, მატჩი ან შეჯიბრება, ოფიციალურია თუ ამხანაგური, ყველას ყველაფერი ავიწყდება და მთელი თეორიები განზე რჩება. როგორც გაირკვა, როგორც ბრაზილიას, ასევე გერმანიას, საკმაოდ ძლიერი ფსიქიკა, ჩინებული ორგანიზაცია, დიდი მიზანი და ბურთის გვარიანად კარგი თამაში ახასიათებთ.

და მაინც, ხვალინდელ ფავორიტად ბრაზილიას მიიჩნევენ. მიზეზი: რაც ჩემპიონატი დაიწყო რონალდოსა და რივალდოს გოლი გოლზე გააქვთ, გერმანელების მთავარ გმირად მიჩნეული მიხაელ ბალაკი კი დისკვალიფიცირებულია. თუმცა, მედალს მეორე მხარეც აქვს — გამორიცხულია, ბალაკის არყოფნამ და ფავორიტად შერაცხვამ ბრაზილიის ნაკრები გააყოყოჩინოს და მეტოქეს ან თამაშს სულ ოდნავ მაინც ზერელედ მიუდგეს. ბოლოს და ბოლოს, ეს იმ ორი ნაკრების შეხვედრაა, მთელ დანარჩენ მსოფლიოზე მაღლა დგომის პრეტენზია რომ აქვს.

დიახ, შეიძლება თავისი წილი პრეტენზია იტალიელებსა და არგენტინელებსაც ჰქონდეთ, მაგრამ სტატისტიკა, თან მეტისმეტად თვალსაჩინო, საპირისპიროს ამტკიცებს. ერთი სიტყვით, პირველად აზიაში და პირველად ისტორიაში — ასეთი ფინალი გველის.

ახლა კი გავიხსენოთ, რომ დღევანდლამდე ბრაზილიის ნაკრები ოთხჯერ ფლობდა ტიტულს. 1958, 1962, 1970 და 1994 წლებში, ანუ რივალდო და რონალდო ხვალ პენტაკამპეონეს წოდების მოსაპოვებლად შეუტევენ გერმანიის ნაკრების კაპიტნისა და საუკეთესო ფეხბურთელის, ოლივერ კანის კარს.

კანსა და მის მცველებს განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობა სწორედ ამ ორი ფორვარდისთვის მოუწევთ. რონალდომ, მიმდინარე შეჯიბრებაში 6 გოლი გაიტანა, ხოლო რივალდომ — 5. თუმცა, თავის მხრივ, რონალდოსა და რივალდოსაც უნდა ახსოვდეთ, რომ კანის კარში ამ ტურნირზე მხოლოდ ერთხელ შევარდა ბურთი — ეს ირლანდიელმა რობი კინმა მოახერხა, მეტი ვერავინ. ერთი სიტყვით, რაგინდ ბევრი გიძახოთ, რომ გერმანიის ნაკრებს გასულ 6 შეხვედრაში თვალისთვის სასიამოვნო არაფერი უჩვენებია, პრაქტიკული თვალსაზრისით ზემოთ ნათქვამი ყურადსაღებიც გახლავთ და მეტიც.

და დღეს, ოთხი წლის წინანდელ ამბავსაც იხსენებენ — რონალდო, მოგეხსენებათ, ბრაზილიის გმირი ახლა არ გამხდარა, 1998 წელსაც გმირი იყო, მაგრამ მაშინ, 12 ივლისს, სწორედ ფინალის დღეს ცუდად შეიქნა და, მართალია, საღამოს მოედანზე გასვლა მოახერხა, საქმეში თავი მაინცდამაინც არ გამოუჩენია. ხვალ რონალდო ზედიზედ მეორე ფინალს ითამაშებს, (1994 წლის მუნდიალზე შემადგენლობაში კი იყო, მაგრამ მინდორზე წამითაც არ გასულა) აი, კაფუ კი მესამეს და ამით ისტორიაში საგანგებო ადგილს დაიკავებს.

საფინალოდ, ბრაზილიელთა თავკაცი, „დიდ ფილად" წოდებული ლუიშ ფელიპე სკოლარი, სავარაუდოდ იმ შემადგენლობას ამჯობინებს, რომლითაც მეოთხედფინალში ინგლისს ეთამაშა ანუ ნახევარფინალში დისკვალიფიცირებული რონალდინიო ისევ სასტარტო თერთმეტს შორის იქნება, გერმანია კი ტრადიციულ ფასეულობებზე გააკეთებს აქცენტს. თავად ბუნდესმწვრთნელი, რუდი ფიოლერი ბრძანებს ასე:

„მთავარია განსაკუთრებული წესრიგი და სათამაშო ორგანიზაცია. ჩვენ უნდა შევუტიოთ, ოღონდ ფრთხილად, რადგან ბრაზილიას ისეთი მოთამაშეები ჰყავს, რომელთაც კონტრშეტევისას ნებისმიერი შანსის გამოყენება შეუძლიათ. დიახ, მოწინააღმდეგე ცალკეულ ფეხბურთელთა ინდივიდუალიზმის თვალსაზრისით გვჯობია, ოღონდ ამაში სამარცხვინო არაფერია. მსოფლიოს ნებისმიერი გუნდი ბრაზილიელებთან შედარებით ჩვენსავითაა".

და, როგორც ყოველთვის, ფიოლერმა სახვალიო შემადგენლობაზე არაფერი თქვა. მხოლოდ ის განაცხადა, რომ სერიოზულად არავინ ჰყავს დაშავებული. ჩემპიონატში 5 გოლის გამტანი მიროსლავ კლოზე სრული დატვირთვით ვარჯიშობს, ოლივერ ნოივილიც არაფერს უჩივის, ოლივერ კანი, მართალია, კისერს იტკიებდა, მაგრამ მასაც დაამებია ტკივილი, ხოლო დისკვალიფიცირებული ბალაკის მაგივრად, როგორც ამბობენ დიტმარ ჰამანი ითამაშებს, ხოლო ჰამანის მოვალეობა დაუღალავ იენს იერემისზე გადავა.

**ბაჩუნა ძიძია**

## გერმანია
## გზა ფინალამდე

| | |
|---|---|
| **IX შესარჩევი ევროპული ჯგუფი** | |
| 02.09.00 | გერმანია 2:0 საბერძნეთი |
| 07.10.00 | ინგლისი 0:1 გერმანია |
| 24.03.01 | გერმანია 2:1 ალბანეთი |
| 28.03.01 | საბერძნეთი 2:4 გერმანია |
| 02.06.01 | ფინეთი 2:2 გერმანია |
| 06.06.01 | ალბანეთი 0:2 გერმანია |
| 01.09.01 | გერმანია 1:5 ინგლისი |
| 06.10.01 | გერმანია 0:0 ფინეთი |
| **პლეი ოფი** | |
| 10.11.01 | უკრაინა 1:1 გერმანია |
| 14.11.01 | გერმანია 4:1 უკრაინა |
| **E ჯგუფი** | |
| 01.06.02 | გერმანია 8:0 საუდეთი |
| 05.06.02 | გერმანია 1:1 ირლანდია |
| 11.06.02 | კამერუნი 0:2 გერმანია |
| **მერვედფინალი** | |
| 15.06.02 | გერმანია 1:0 პარაგვაი |
| **მეოთხედფინალი** | |
| 21.06.02 | გერმანია 1:0 აშშ |
| **ნახევარფინალი** | |
| 25.06.02 | გერმანია 1:0 ს. კორეა |



2001. 14 ნოემბერი. გერმანია — უკრაინა 4:1



2001. 14 ნოემბერი. ბრაზილია — ვენესუელა 3:0

## ბრაზილია
## გზა ფინალამდე

| | |
|---|---|
| **შესარჩევი ტურნირი** | |
| 28.03.00 | კოლუმბია 0:0 ბრაზილია |
| 26.04.00 | ბრაზილია 3:2 ეკვადორი |
| 04.06.00 | პერუ 0:1 ბრაზილია |
| 28.06.00 | ბრაზილია 1:1 ურუგვაი |
| 18.07.00 | პარაგვაი 2:1 ბრაზილია |
| 26.07.00 | ბრაზილია 3:1 არგენტინა |
| 15.08.00 | ჩილე 3:0 ბრაზილია |
| 03.09.00 | ბრაზილია 5:0 ბოლივია |
| 08.10.00 | ვენესუელა 0:6 ბრაზილია |
| 15.11.00 | ბრაზილია 1:0 კოლუმბია |
| 28.03.01 | ეკვადორი 1:0 ბრაზილია |
| 25.04.01 | ბრაზილია 1:1 პერუ |
| 01.07.01 | ურუგვაი 1:0 ბრაზილია |
| 15.08.01 | ბრაზილია 2:0 პარაგვაი |
| 05.09.01 | არგენტინა 2:1 ბრაზილია |
| 07.10.01 | ბრაზილია 2:0 ჩილე |
| 07.11.01 | ბოლივია 3:1 ბრაზილია |
| 14.11.01 | ბრაზილია 3:0 ვენესუელა |
| **C ჯგუფი** | |
| 03.06.02 | ბრაზილია 2:1 თურქეთი |
| 08.06.02 | ბრაზილია 4:0 ჩინეთი |
| 13.06.02 | კოსტა რიკა 2:5 ბრაზილია |
| **მერვედფინალი** | |
| 17.06.02 | ბრაზილია 2:0 ბელგია |
| **მეოთხედფინალი** | |
| 21.06.02 | ინგლისი 1:2 ბრაზილია |
| **ნახევარფინალი** | |
| 26.06.02 | ბრაზილია 1:0 თურქეთი |

# გერმანია VS ბრაზილია

## მწვრთნელები





ლუიშ ფელიპე სკოლარი და რუდი ფოილერი

# როიტერი: ვინ იქნება უფრო შტერი?

## ვირი და აქლემის მსხვერპლი

**ბრაზილიელი** ლუიშ ფელიპე სკოლარი და გერმანელი რუდი ფოილერი საფეხბურთო ჯუნგლებში ყველაზე დამშეული ცხოველები არიან — აი, ასე იწყება ფინალის მონაწილე გუნდების მწვრთნელებისადმი სააგენტო „როიტერის" მიერ მიძღვნილი წერილი.

მწვრთნელთა რეპუტაცია, უფრო კი განკითხვა — „როიტერი" ასე მიუდგა საქმეს. იოკოჰამას სტადიონზე სკოლარიც და ფოილერიც თავიანთ ტექნიკურ ზონაში ბორგვას მოჰყვებიან, შემოხაზულ ფართობს ხშირად გასცდებიან, რადგან მათ წინ ის ბრძოლის ველი გადაიშლება, სადაც მეტოქე ფეხბურთელები ჩემპიონის ტიტულისთვის შეიბმებიან.

სკოლარი ცნობილია, როგორც „დიდი ფილი" ან „ვირი", როგორც მას არცთუ თბილად მოიხსენიებენ და ასეთი განმარტება იმას ეყრდნობა, თუ როგორ ფეხბურთს თამაშობს ბრაზილიის ეროვნული გუნდი.

სკოლარი-ფეხბურთელის კარიერა ერთობ მწირია მის მეტოქე რუდი ფოილერთან შედარებით.

53 წლის სკოლარი ფეხბურთელობისას ერთი საშინელი ცენტრალური მცველი იყო სამხრეთ ბრაზილიაში და თანაგუნდელებს ძალისმიერი თამაშისკენ მოუწოდებდა.

„დიდი ფილი", რომელსაც არასდროს უთამაშია ნაკრებში, ცნობილია, როგორც თავისი შეგირდების წამქეზებელი — მოცელონ მეტოქე, გაიყვანონ დრო და საერთოდ მიმართონ ყველანაირ ხერხს დასახული ამოცანის მისაღწევად.

შედეგი კი მას მართლაც შთამბეჭდავი აქვს. 1995 წელს სკოლარიმ „გრემიოს" ლიბერტადორესის თასი მოაგებინა, ხოლო ერთი წლის მერე ქვეყნის ჩემპიონობა. „პალმეირასი" სკოლარის ხელმძღვანელობით შეიქნა ლიბერტადორესის თასის მფლობელი 1999 წელს.

მას შემდეგ, რაც ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ერთი წლის წინ სკოლარიმ ემერსონ ლეაო შეცვალა, „დიდი ფილი" კრიტიკის ქარტეხილში გაიბლანდა შესარჩევი ეტაპის უნიათოდ ჩატარებისა და რომარიოს ნაკრებიდან მოკვეთის გამო.

„მე ვეუბნები ბრაზილიელ ხალხს, გჯეროდეთ, გჯეროდეთ, გჯეროდეთ, რადგან ჩვენ გაცილებით მეტი შეგვიძლია. მხოლოდ ფეხბურთს არ ვგულისხმობ, მთლიანობაში ერს შეუძლია, მეტი გააკეთოს" — ამბობს ახლა ლუიშ ფელიპე სკოლარი.

ფოილერი სკოლარიზე თერთმეტი წლით უმცროსია და მწვრთნელობა იმ საილუსტრაციო ფეხბურთელის კარიერის შემდეგ დაიწყო, რომელიც უმაღლეს დონეზე განვლო.

გერმანელთა 1990 წლის ტრიუმფისას ფოილერმა ფინალში პენალტი მოინადირა არგენტინის წინააღმდეგ — ეს მისი კარიერის ნათელი სხივი გახლდათ, თუმც იმ მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში ფრანკ რაიკარდთან ფურთხიანი ინცინდენტიც დასამახსოვრებელი იყო.

იტალიის მუნდიალიდან სამი წლის შემდეგ ფოილერმა მარსელის „ოლიმპიკში" ჩემპიონთა თასი მოიგო, ხოლო გერმანიაში ის უფრო იმიტომ უყვართ, რომ ნაკრებს ძნელბედობის ჟამს ეხმარებოდა ხოლმე.

ამ ფორვარდს გოლი 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალშიც გაუტანია არგენტინასთან, ნაკრებში კი 90 კეპი მოუხვეჭია.

ფოილერის სამწვრთნელო წარმატება ცხრა თვეში მოვიდა: მას შემდეგ, რაც მისმა გაწვრთნილმა გერმანიის ნაკრებმა შინ დამამცირებელი მარცხი იწვნია ინგლისთან — 1:5. იმ დროს იდეა, რომ გერმანია მეშვიდე სამუნდიალო ფინალს ითამაშებდა, ფიქრისთვისაც კი მიუწვდომელი იყო.

„ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ, როცა ჯგუფურ ეტაპზე მაღალი კლასის გუნდებს — კამერუნსა და ირლანდიას ვეთამაშებოდით, არავინ ელოდა, რომ ჩემპიონატის თექვსმეტ საუკეთესო გუნდს შორის მოვხვდებოდით, მაგრამ ჩვენ ნაღდად კარგად ვითამაშეთ და ფინალში ყოფნა დავიმსახურეთ" — თქვა რუდი ფოილერმა.

**დავით თავართქილაძე**

## მსაჯი

# მოსამართლე და მოწყალე

**სანამ** გერმანია და ბრაზილია იდავებენ, რომელია მსოფლიოში უძლიერესი, მოედანზე იქნება კაცი, რომელსაც სადავო და საკამათო არავისთან არაფერი აქვს — ის ყველას სჯობია!

იტალიელი მსაჯი პიერლუიჯი კოლინა რამდენი ხანია უკონკურენტოდაა და რამდენი ხანია ყველამ ვიცით, რომ მსოფლიოს მიმდინარე ჩემპიონატის ფინალს მის გარდა არავის ანდობდნენ.



„ფინალის მსაჯად დანიშვნა იმას ნიშნავს, რომ ის, ვინც გნიშნავს, გენდობა. ეს წარმოუდგენელი ბედნიერებაა. ყველა ღონეს ვიხმარ სიხარულით მეცხრე ცაზე რომ არ ავფრინდე. ვინ მოთვლის რამდენ მატჩს გავძღოლივარ, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი სხვაა". — ამბობს 42 წლის არბიტრი.

მოგეხსენებათ, ამ ჩემპიონატს მსაჯთა შეცდომები და სკანდალები არ აკლია, ამიტომაც კოლინას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება.

„ფინალში ჩემი ამოცანა კოლეგათა რეპუტაციის შენარჩუნება კი არა, მაქსიმალური ყურადღებით ყოფნაა" — დასძენს ის.

აღსანიშნავია, რომ პიერლუიჯი კოლინა ხშირად, მატჩის შემდეგ, დამარცხებულებთან მისული და ნუგეშის მიმცემი უნახავთ.

„მნიშვნელოვანი გაწბილებულთა მხარდაჭერაა, გამარჯვებულებთან დარჩენაზე იოლი კი არაფერია. როდესაც ხედავ, რომ ვიღაც ტირის, უნდა ანუგეშო, თუმც შენი სიტყვებით ბევრს ვერაფერს შეცვლი. იაპონიამ თურქეთთან რომ წააგო, დამარცხებულებთან მივედი და ვუთხარი, რომ საამაყოდ აქვთ საქმე. მათ ხომ დიდებულად ითამაშეს ამ ჩემპიონატზე".

კოლინამ განაცხადა, რომ ფინალის წინა დღეებში გერმანიისა და ბრაზილიის ნაკრებთა მონაწილეობით ყველა თამაშის ვიდეოჩანაწერი შეისწავლა:

„ამოცანა კარგად მომზადებაა და ბოლო წამამდე სწორედ ამაზე ვფიქრებ. მსაჯთა გუნდის სხვა წევრებთან ერთად ბევრს ვვარჯიშობ, ვცდილობ, ფიზიკურად საუკეთესო ფორმაში ვიყო. ამასთან, მეტოქეებზე რაც შეიძლება მეტი უნდა გავიგო. უნდა შევისწავლო, როგორ თამაშობენ და თითოეული ფეხბურთელი რა თვისებებით გამოირჩევა. იცით, მთავარია თამაში ამოხსნა, წაიკითხო და მაშინ ყველაფერი კარგად იქნება".

**ბაკუნა ძიძია**



თამაშისას გულცივი კოლინა ნამატჩევს ერთობ გულჩვილია

# ფინალების ისტორია

სანამ მსოფლიოს ჩემპიონატი კორეა-იაპონიას მიაღწევდა, იქამდე გამართულ თექვსმეტ ფინალურ მატჩში თერთმეტ ეროვნულ გუნდს უთამაშია. თითო-თითოჯერ მუნდიალის გადამწყვეტ შეხვედრაში ინგლისს, ფრანგებს და შვედებს უბურთავიათ. ჩეხებს, უნგრელებს, ურუგვაელებსა და ჰოლანდიელებს მათზე ერთჯერ მეტში. არგენტინელებს ოთხჯერ, ხოლო იტალიელებს ხუთჯერ უცდიათ ბედი. ეს ცხრა. დაგვრჩა ორი, რომლებიც ბრაზილია და გერმანია არიან. მათ ექვს-ექვსი ფინალი აქვთ ნათამაშები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მხოლოდ ოთხმა ფინალმა ჩაიარა ამ ორი ზეგუნდის გარეშე.

⚽⚽⚽

ბრაზილიელები ფინალში გერმანელებზე ოდნავ იღბლიანები არიან. მათ ოთხი ფინალი მოუგიათ, გერმანელებს კი სამი. ჯერჯერობით ტეტრაკამპეონები მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩატარებული მატჩების რაოდენობითაც (87) მცირედით, სულ სამი მატჩით სჯაბნიან გერმანელებს. აღსანიშნავია, რომ პენტაკამპეონობისთვის შემზადებულთათვის საკვირაო მატჩი ზედიზედ მესამე ფინალია, ამგვარივე მაჩვენებელი აქვთ გერმანელებს (1982-86-90).

⚽⚽⚽

ბრაზილიელებს ფინალურ მატჩებში სამი რეკორდისთვისაც მიუღწევიათ. 1958 წლის შვედეთი — ბრაზილიის დაპირისპირება ყველაზე უხვგოლიანი გამოდგა (2:5). სამხრეთამერიკელები აგრეთვე ერთადერთნი არიან, რომელთაც ზედიზედ ორ ფინალურ შეხვედრაში გოლი ვერ გაიტანეს (1994 წელი, იტალია — ბრაზილია 0:0; 1998 წელი, საფრანგეთი — ბრაზილია 3:0). უმთავრესი კი ისაა, რომ მუნდიალის მოგება უცხო კონტინენტზე მხოლოდ ბრაზილიელებს, 1958 წელს შვედეთში მოუხერხებიათ.

⚽⚽⚽

სამფინალოსანია ბრაზილიელთა კაპიტანი კაფუ. ბრაზილიელთა და გერმანელთა მრავალფინალოსნობა განაპირობებს იმასაც, რომ, სწორედ ამ გუნდებს ჰყოლიათ ორი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გოლის გამტანნი. ასეთი სამი ფეხბურთელია — ვავამ 1958 წლის ფინალში ორჯერ შეაგდო, ერთიც 1962-ში წაუმატა. პელეს ორი გაუტანია შვედებისთვის და ერთიც 1970 წლის ჩემპიონატის გადამწყვეტ თამაშში. გერმანელთაგან მსგავსი სიხარულის განმცდელი კაცი პაულ ბრაიტნერია, რომელსაც 1974 წლისა და 1982 წლის ფინალებში დაულაშქრავს მეტოქის კარი.

⚽⚽⚽

მუნდიალის გამარჯვებულის ვინაობის გარკვევას ოთხჯერ — 1934, 1966, 1978 და 1994 წლებში დამატებითი ორი ტაიმი დასჭირდა. ფინალურ მატჩში ყველაზე მეტი გოლი კი არც ბრაზილიელს ეკუთვნის და არც გერმანელს. ამით ინგლისელი ჯეფ ჰერტსი, 1966 წელს ფინალში ჰეთ თრიქის გამხერხებელი თავდამსხმელი იწონებს თავს. აქვე შეგახსენებთ, რომ გერმანელთა კარში მისი ორი გოლი დამატებით დროში გავიდა.

⚽⚽⚽

ფინალურ მატჩში თერთმეტმეტრიანის ერთადერთი ვერგამტანი იტალიელი კაბრინია, თუმცა 1982 წელს „სანტიაგო ბერნაბეუზე" „სკუადრა აძურამ" გერმანელების დამარცხება მაინც შეძლო.

⚽⚽⚽

ყველაზე არაკორექტული ფინალისტები არგენტინელები არიან. 1990 წელს, გერმანელებთან შეხვედრისას, მსაჯმა ორი არგენტინელი, პედრო მონსონი და გუსტავო აბელ დესოტი გააძევა. სამხრეთამერიკელები, გეხსომებათ, დამარცხდნენ, აი, ფრანგი მარსელ დესაი კი ჯერჯერობით ერთადერთი გაძევებულია, რომლის გუნდმაც ფინალში გაიმარჯვა.

⚽⚽⚽

კიდევ ერთი დეტალი: მსოფლიოს პირველი ათი ჩემპიონატის ფინალში რვაჯერ პირველი გოლის გამტანი დამარცხდა. ბოლო ექვსში კი ასეთი რამ არ მომხდარა. ხოლო საკვირაო ფინალისტებს მსოფლიოს ჩემპიონატებში ერთურთის ძალა დღემდე არ მოუსინჯავთ.

## კორეა-იაპონია 2002
### ანონსი. მატჩი მე-3 ადგილისთვის. №63

### ს.კორეა — თურქეთი

დღეს. დეგუ (კორეა). „დეგუ უორლდ კაფ სთადიუმ". 16.00

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| ვ. ლი, ჯ. ჩოი, მ. ჰონგი, ტ. კიმი, პარკი, ჩ. სონგი, იოო, ი. ლი, ჩა, ანი, ჩ. ლი | რუშთუ, ფათიჰი, ალფაი, ემრე ასიქი, დავალა უმითი, ბაშთურქი, თუგაი, ემრე ბელოზოღლუ, შუქური, ილჰანი, არიფი |
| მწვრთნელი: გუს ჰიდინკი | მწვრთნელი: შენოლ გიუნეში |

მსაჯი: საად მანე (ქუვეითი)

**ურთიერთშეხვედრები**

| | | |
|---|---|---|
| 1954 | მჩ | თურქეთი 7:0 ს. კორეა |
| 1961 | ამ | თურქეთი 1:0 ს. კორეა |
| 2002 | ამ | თურქეთი 0:0 ს. კორეა |

შენიშვნა: ამ — ამხანაგური მატჩი, მჩ — მსოფლიოს ჩემპიონატი

# ოთხ საათზე ჰიდინკის ძეგლთან

## ხიდები, ძეგლები, გზაჯვარედინები ბრინჯაოს შეეჯიბრებიან






ჰასან შაშის სახელობის ხიდზე გავლილი თურქები ილჰან მანსიზის ძეგლს ჩაუვლიან

**ჩემპიონატის** დაწყებამდე, ალბათ, ვერავინ იფიქრებდა, რომ თურქეთი და კორეა ნახევარფინალში გაალწევდნენ. აზიელთათვის ეს თუ მეხუთე მუნდიალია, თურქებმა მეორედ შეაღეს მთავარი საფეხბურთო ფორუმის კარი.

აქამდე კორეელებს მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოგება ერთხელაც არ ღირსებიათ. ახლა კი თავი გამოიდეს და ერთმანეთს მიაყოლეს პორტუგალია, იტალია და ესპანეთი. ამ წარმატების მთავარი შემოქმედი (თუ მსაჯებს არ ჩავთვლით) ჰოლანდიელი გუს ჰიდინკია.

კორეელები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ჰიდინკს გარჯა სათანადოდ დაუფასონ. ის უკვე სეულის საპატიო მოქალაქეა. მთავრობა ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი, „ლურჯი დრაკონის" ორდენით დაჯილდოვებას უპირებს. ჰოლანდიელ სპეციალისტს ორდენს მომავალ კვირაში გადასცემენ. გუს ჰიდინკი პირველი უცხოელია, ვისაც კორეაში ასეთ პატივს მიაგებენ.

რამდენიმე ქალაქში ჰიდინკს ძეგლსაც დაუდგამენ. გარდა ამისა, მას შეუძლია, ოთხი წლის განმავლობაში უფასოდ ისარგებლოს ერთ-ერთი კორეული ავიაკომპანიის მომსახურებით. ლაპარაკი აღარაა იმაზე, რომ ნებისმიერ დროს კორეაში ჩასულს, ნებისმიერ კურორტზე მუქთად დასვენების უფლება ექნება. და კიდევ — არავინ იცის, რამდენ ქუჩას დაარქმევენ მის სახელს.

ჩემპიონატის დაწყებამდე მავანმა დიზაინერმა გუს ჰიდინკს ექვსი ჰალსტუხი აჩუქა. ჰოლანდიელს ექვსიდან ერთი განსაკუთრებით მოეწონა. პირველ ჯგუფურ მატჩამდე შეუბნევია ყელზე და ახლა თილისმასავით აღარ იშორებს. დღესაც ამ ჯადო-ჰალსტუხით იქნება სტადიონზე.

მესამე ადგილიც დიდებული შედეგია იმ გუნდთათვის, რომლებსაც აქამდე არაფრისთვის მიუღწევიათ. პირადად ჰიდინკისთვის კი ეს ზედიზედ მეორე ცდა იქნება ბრინჯაოს დასაუფლებლად. 1998 წელს ჰოლანდიელთა თავკაცს ხორვატებთან მოეცარა ხელი. ამიტომ დღევანდელი მატჩი კორეელთა მწვრთნელისთვის კიდევ ერთი შანსია.

„ჩვენი წინსვლა ყველამ სიურპრიზად და მოულოდნელობად აღიქვა — თქვა გუს ჰიდინკმა — მე ასე არ ვფიქრობ. შევეცდები, დღეს ეს დავამტკიცო. ჩვეულად, სერიოზულად მოვემზადეთ ამ მატჩისთვის. მგონი, კარგი, თვალსასეირო თამაში იქნება და, ალბათ, მესამე ადგილსაც დავისაკუთრებთ. მთელი ქვეყანა მხარში გვიდგას. გულშემატკივრებისგან ძალიან დავალებულნი ვართ და ასი პროცენტით დავიხარჯებით გამარჯვებისთვის. შემადგენლობაში და თამაშის ტაქტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანას არ ვაპირებ. ისევ იმ ფეხბურთს ვაჩვენებთ, რომელმაც მსოფლიოში სახელი გაგვითქვა. მეტოქეზე კი მოგახსენებთ, რომ თურქეთის ნაკრები შემტევი და ტექნიკურად დახვეწილი გუნდია."

სავარაუდოდ, გუს ჰიდინკი დღევანდელი მატჩის შემდეგ კორეას დაემშვიდობება. იქაური ფეხბურთის ფედერაციასთან მისი კონტრაქტის ვადა იწურება.

ნაკრებში ყოფნა-არყოფნის საკითხს შენოლ გიუნეში მოგვიანებით გადაწყვეტს. თურქთა თავკაცი ჯერ კიდევ შესარჩევი ციკლის მერე აპირებდა პოსტის დატოვებას, მაგრამ თხოვეს, საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებო. ისე კი, მას კონტრაქტი 2004 წლამდე აქვს.

ნახევარფინალში გასვლის მიუხედავად გიუნეშს კრიტიკა არ დაჰკლებია და ახლა ილჰან მანსიზმაც პრეტენზია წაუყენა. ბრაზილიელებთან შეხვედრის შემდეგ ფეხბურთელმა ბრძანა, თავიდანვე რომ მეთამაშა, ფინალში ნამდვილად გავიდოდითო. რა თქმა უნდა, არავინ იცის, რა მოხდებოდა, მაგრამ ამ ნათქვამმა თურქეთში აჟიოტაჟი გამოიწვია და მანსიზს ბევრი სპეციალისტიც დაეთანხმა.

შენოლ გიუნეში შეცდომის გამოსწორებას დღეს აპირებს. თურქეთის ნაკრები მატჩს ჰაქან შუქურის გარეშე, ილჰან მანსიზით და არიფ ერდემით დაიწყებს. ისე, ნაღდად აჯობებდა, გიუნეშს „ბოსფორის ბუღა" უფრო ადრე გაემწესებინა სათადარიგოთ.

ნახევარფინალში დამარცხების მერე თურქი ფეხბურთელები ცხვირჩამოშვებულნი იყვნენ. წაგება ისე განუცდიათ, თითქოს დაუმსახურებლად წაართვეს ფინალში თამაშის უფლება. მათი საერთო აზრია — ფინალში გერმანიას უეჭველად დავამარცხებდითო.

ფრანგული „ეკიპი" ირონიით აღნიშნავს, დამარცხებული თურქები გაბუტული ბავშვებივით იქცეოდნენ, ჟურნალისტებს სიტყვა დაამადლესო. თან შენოლ გიუნეშის ნათქვამს, ბრაზილია გერმანიას ძალიან იოლად დაამარცხებსო, სისულელე უწოდეს.

რომელიღაც ჩინური გაზეთი კი ამტკიცებს, თურქეთის ნაკრები ერთი ჩვეულებრივი, მეორეხარისხოვანი გუნდია, რომელიც ჯგუფიდან შემთხვევით გავიდაო.

თავად თურქებმა, ნახევარფინალში დამარცხებას, ჯგუფში ჩარჩენა გვერჩივნაო.

მოკლედ, ნაბრაზილიევს ოსმალოთა გასახდელში ბევრი სიმწრის ცრემლი და ქვითინი იყო. ფეხბურთელები ისეთი დამძარებულები ყოფილან, ზოგიერთს ლამის მოსულიერება დასჭირვებია.

თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჰალუქ ულუსოი გაოცებული დარჩა: „მართალია, ფინალამდე ერთი ნაბიჯი დაგვაკლდა, მაგრამ მარცხის გულთან ასე ახლოს მიტანაც არ შეიძლება. შეუძლებელი შევძელით, შანსი გვაქვს შინ ბრინჯაოს მედლით დავბრუნდეთ, ფეხბურთელები კი დარდს მისცემიან. ახლა ტირილის დრო არაა."

ჰალუქ ულუსოი და შენოლ გიუნეში სასტუმროში ფეხბურთელებს სათითაოდ აწყნარებდნენ, თქვენი გასაკეთებელი უკვე გააკეთეთ, დამშვიდდით და კორეასთან თამაშზე იფიქრეთო — ანუგეშებდნენ დამწუხრებულებს.

უხასიათობის მიუხედავად, თურქეთის ნაკრები უბრძოლველად, ალბათ, არაფერს დათმობს. მთელი ქვეყანა გვერდში ედგათ, პრემიებიც სოლიდური მიიღეს და ბრინჯაოსთვის კიდევ დაუმატებენ. თუ უჯიგროდ ითამაშეს, 66 მილიონმა თურქმა როგორც აქო და ადიდა, შავ დღესაც ისე დააყრიან.

ჰასან შაშის სახელობის ხიდი თუ უკვე არსებობს, ილჰან მანსიზმა რაღა დააშავაო, თქვეს პატარა ქალაქ ესკიშეჰირის მაცხოვრებლებმა. ესკიშეჰირელებმა გადაწყვიტეს, მანსიზს მშობლიურ ქალაქში ძეგლი დაუდგან და ამით უკვდავყონ სენეგალთან „ოქროს გოლის" გამტანის სახელი. ამ გოლმა ხომ თურქეთი ოთხეულში გაიყვანა. მართალია, ილჰანი გერმანიაშია დაბადებულ-გაზრდილი, მაგრამ მისი წინაპრები ესკიშეჰირიდან ყოფილან.

ილჰან მანსიზი: „კორეელებთან ერთხელ უკვე ვითამაშეთ ამხანაგურად. ის მატჩი უგოლოდ დასრულდა. ასე რომ, ერთმანეთის ძლიერ და სუსტ მხარეებს ვიცნობთ. ვფიქრობ, ლაღი, ორმხრივი იერიშებით სავსე შეხვედრა გველის."

დანარჩენებს არ ჩამოვრჩეთო, თქვეს მალათიელებმა და ბიულენთ ქორქმაზის სახელი ქალაქის ერთ-ერთ გზაჯვარედინს დაარქვეს.

დღეს კიდევ გადაწითლდება სტადიონი და მსოფლიოს ჩემპიონატი კორეელებისა და თურქებისთვისაც დასრულდება.

**გაგა ხუციშვილი**





კორეელების წარმატებაში გუს ჰიდინკის ჰალსტუხსაც დაუდია წილი



მეოცე საუკუნის ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატი ფრანგებს ემე ჟაკემ მოაგებინა

# სადაური? აქაური!

**დღეს შაბათია**, მატჩი მესამე ადგილისთვის; ხვალ კვირაა — ფინალი და მისი ჯანი; ზეგ კი ორშაბათია, დღე, როცა მსოფლიოს მორიგი, მეჩვიდმეტე ჩემპიონატი, წინათა მსგავსად, ისტორიად იქცევა.

ზეგიდან დაიწყება გარჩევა, ანალიზი, კრიტიკა. კორეის, თურქეთისა თუ სენეგალის გადამკიდე, ბევრი იტყვის, ნამეტანი არატრადიციული ჩემპიონატი გახლდათო. მაგრამ ეგ ზეგ, დღეს კი ის ტრადიცია გავიხსენოთ, პირველმა აზიურმა მუნდიალმა რომ შეინარჩუნა — მსოფლიოს ჩემპიონი გახდა გუნდი, ვისაც აბორიგენი წვრთნიდა.

დიახ, ყველა მსოფლიოს ჩემპიონს, 1930 წლის ურუგვაიდან დაწყებული და ოთხი წლის წინანდელი საფრანგეთით დამთავრებული, ადგილობრივი მწვრთნელი ჰყავდა. ალბერტო სუპიჩიდან ემე ჟაკემდე. ხვალ ამათ სიას ან რუდი ფიოლერი, ანაც ლუიშ ფელიპე სკოლარი შეემატებიან.

საოცარი არც არაფერია. იტალიას, არგენტინას, ბრაზილიას, საფრანგეთს და გერმანიას რომ ეროვნული თავკაცის ძებნა უცხოეთში არ სჭირდებათ, ფაქტია. დღემდე არც ინგლისს სჭირდებოდა, მაგრამ უტრადიციულესმა ქვეყანამ ტრადიცია დაივიწყა და რაც მოიგო, თავად ნახეთ. როცა მოიგო, ალფ რამსეი ჰყავდა.

მხოლოდ ერთხელ, 1978 წელს იყო შანსი ამ ტრადიციის დარღვევისა. ორიოდ სანტიმეტრით მარჯვნივ რომ წასულიყო რობი რენსენბრინკის დარტყმული ბურთი, მსოფლიოს ჩემპიონად ჰოლანდია იქცეოდა, ვისაც ავსტრიელი ერნსტ ჰაპელი წვრთნიდა. მაგრამ ასე არ მოხდა და თასს მაშინაც ეკონომიკურ კრიზისში მყოფი არგენტინელები დაეუფლნენ სეზარ ლუის მენოტის თაოსნობით.

მაშ ასე, ტრადიცია გრძელდება, ფრანგი მეტიუს სენეგალმა თავი დაგვამახსოვრა, ჰოლანდიელი ჰიდინკის კორეამ თითქმის შეუძლებელი შეძლო, მაგრამ ფინალში მაინც თანამემამულის დამოძღვრილი გუნდები გავიდნენ.

იქ კი რუდი ფიოლერს შანსი აქვს, შანსი ისტორიაში შესვლისა: თუ უბალაკო გერმანიამ შეძლო და იმარჯვა, ფიოლერი მესამე ადამიანი გახდება, ვინც მსოფლიოს ჩემპიონობა როგორც ფეხბურთელმა და როგორც მწვრთნელმა მოიპოვა. აქამდე ეს მხოლოდ ფრანც ბეკენბაუერმა (1974 და 1990) და მარიო ზაგალომ (1958/62 და 1970) შეძლეს. არადა, 12 წლის წინ ბატონი რუდი თავად ღვრიდა ოფლს ფინალურ მატჩში.

## მსოფლიოს ჩემპიონი მწვრთნელები

1930: ალბერტო სუპიჩი (ურუგვაი)
1934: ვიტორიო პოცო (იტალია)
1938: ვიტორიო პოცო (იტალია)
1950: ხუან ლოპესი (ურუგვაი)
1954: ზეპ ჰერბერგერი (გერმანია)
1958: ვისენტე იტალო ფეოლა (ბრაზილია)
1962: აიმორე მორეირა (ბრაზილია)
1966: ალფ რამსეი (ინგლისი)
1970: მარიო ჟორჟე ლობო ზაგალო (ბრაზილია)
1974: ჰელმუტ შიონი (გერმანია)
1978: ლუის სესარ მენოტი (არგენტინა)
1982: ენცო ბეარზოტი (იტალია)
1986: კარლოს ბილარდო (არგენტინა)
1990: ფრანც ბეკენბაუერი (გერმანია)
1994: კარლოს ალბერტო გომეშ პერეირა (ბრაზილია)
1998: ემე ჟაკე (საფრანგეთი)

# ALL STARS
## ფიფას ვერსია

ფიფამ ერთხელაც გაცხრილა მსოფლიოს ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა და ცოტა ხნის წინ დასახელებული ოცდაორი ფეხბურთელის სია 16-მდე შეამცირა. სიმბოლური ნაკრებისთვის მოთამაშეები ფიფას ათკაციანმა კომისიამ შეარჩია, რომელსაც ჩეხი მწვრთნელი იოზეფ ვენგლოში ხელმძღვანელობს.

ცხადია, მუნდიალის დაწყებამდე ყოვლად წარმოუდგენელი იყო, რომ ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეთა შორის სამი თურქი, ორი კორეელი და ერთი სენეგალელი დასახელდებოდა.

სიმბოლური ნაკრების კანდიდატთა შორის მხოლოდ იმ ქვეყნების ფეხბურთელები არიან, რომლებმაც სულ მცირე, მეოთხედფინალში ითამაშეს. ამრიგად, თამაშგარეში დარჩნენ ფრანგი, არგენტინელი, იტალიელი და პორტუგალიელი ვარსკვლავები.

ფიფა ჩემპიონატის თერთმეტკაციან სიმბოლურ ნაკრებს ფინალის შემდეგ გამოაცხადებს. მანამდე კი გულშემატკივარს საშუალება აქვს, მუნდიალის ოფიციალურ ინტერნეტგვერდზე დასახელებული თექვსმეტი მოთამაშიდან თერთმეტი საუკეთესო შეარჩიოს და, ფიფას ცნობით, სწორედ ეს მონაცემი იქნება გადამწყვეტი საბოლოო ვარიანტის შესარჩევად.

ხმის მიცემა შეგიძლიათ მისამართზე:
WWW.WORLDCUP.COM

საუკეთესოთა სია კი ასეთია:

*მეკარეები: ოლივერ კანი (გერმანია), რუშთუ რექბერი (თურქეთი);*

*მცველები: რობერტო კარლოსი (ბრაზილია), სოლ კემპბელი (ინგლისი), ფერნანდო იერო (ესპანეთი), მიუნგ-ბო ჰონგი (სამხრეთ კორეა), ალფაი ოზალანი (თურქეთი);*

*ნახევარმცველები: მიხაელ ბალაკი (გერმანია), კლაუდიო რეინა (აშშ), რივალდო (ბრაზილია), რონალდინიო (ბრაზილია), სანგ-ჩულ იოო (სამხრეთ კორეა);*

*თავდამსხმელები: რონალდო (ბრაზილია), ელ-ჰაჯი დიუფი (სენეგალი), ჰასან შაში (თურქეთი), მიროსლავ კლოზე (გერმანია)*

# იუბილარი



### ენდი ობრაიენი (ირლანდია). 29.06.79

ირლანდიის ეროვნულ გუნდში ადგილი თებერვალში, რუსეთთან ამხანაგური მატჩის შემდეგ დაიმკვიდრა. მანამდე ობრაიენი ირლანდიის ახალგაზრდული ნაკრების წამყვანი მოთამაშე იყო. ენდის ასპარეზი „ნიუკასლიდან" დაიწყო, საიდანაც 2001 წლის გაზაფხულზე „ბარნსლიდან" გადავიდა. 23 წლის ცენტრალურ მცველს ნაკრებში სულ 5 მატჩი აქვს ჩატარებული, თან მსოფლიოს ჩემპიონატზეც არ გამოჩენილა მინდორზე. თუმცა ობრაიენს ირლანდიის ნაკრების მომავალ ლიდერად მიიჩნევენ.



### კარლოს ლამოსა (აშშ). 30.06.69

კოლუმბიაში დაბადებული ლამოსა ნატურალიზირებული ამერიკელია. ცენტრალური მცველი დიდი ჯანითა და გამძლეობით გამოირჩევა. ნაკრებში 1988 წლიდან თამაშობს და იქიდან მოყოლებული, ეროვნულ გუნდში 27-ჯერ უთამაშია, თუმცა არც ერთხელ მსოფლიოს ჩემპიონატზე. ლამოსა, რომელიც ფიზიკური ძალის გარდა ხისტი, უხეშობაში გადასული თამაშითაც გამოირჩევა, ამერიკული MLS-ის „ნიუ ინგლანდ რევოლუშენში" თამაშობს.



### ხესტო ვილასი (პარაგვაი). 30.06.77

ვილასი მეკარეა ეროვნულ გუნდში სულ 3-ჯერ უთამაშია. პარაგვაის კარის მუდმივი დარაჯის ხოსე ჩილავერტის არყოფნაში წლეულს კარლსბერგის თასზე ითამაშა. დებიუტი კი ჯერ კიდევ სერხიო მარქარიანის დროს, 1999 წელს ჰქონდა გვატემალასთან. იმავე 99-ში კოპა ამერიკაზე მოთამაშე პარაგვაის ნაკრების შემადგენლობაში იყო, თუმცა, ისევე როგორც მსოფლიოს ჩემპიონატზე მინდორზე არ გასულა. დღესდღეობით სამშობლოში, „ლიბერტადის" შემადგენლობაში თამაშობს.



### კლებერ კალა (ეკვადორი). 29.06.71

კარიერის უმეტესი ნაწილი ეკვადორის „ელ ნასიონალში" გაუტარებია, სადაც 1992 და 1996 წლებში ჩემპიონის ტიტული მოიგო. ნაკრებში 65 მატჩში 6 გოლის გამტანი კალა კორეის მინდვრებზე ერთხელაც არ გასულა.

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი
კარდიოექსპრესდიაგნოსტიკა
გულის დაავადებების თანამედროვე
სრულფასოვანი არაინვაზიური დიაგნოსტიკა
- კვალიფიციურ კარდიოლოგთა კონსულტაცია
- გულის ტრანსეზოფაგური და ტრანსთორაკალური ექოსკოპია, ფერადი დოპლერი, სტრესექოსკოპია
- ფიზიკური დატვირთვის ტესტი ტრედმილით
- ტრანსეზოფაგური ელექტროფიზიოლოგიური კვლევა და სტრეს-ტესტი
- გულის რიტმის 24-საათიანი მონიტორირება (ჰოლტერის მეთოდით)
- არტერიული წნევის 24-საათიანი მონიტორირება
- ელექტროკარდიოგრაფია
- ლაბორატორიული კვლევა
- ულტრათანამედროვე აპარატურა, მონაცემების კომპიუტერული დამუშავება

თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11 (III და IV კვარტალს შორის, №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობა)
☎ 53-73-00; 95-00-33



პლასიდო დომინგომ, ხოსე კარერასმა და ლუჩანო პავაროტიმ აზიელებსაც არ დაწყვიტეს გული

# იმღერეს შკვე მრავალჯერ ნამღერი

**ტრადიცია** არ დაირღვა. „სამმა ტენორმა" იაპონიაშიც იმღერა. ამ ტრადიციას კი 1990 წლის იტალიურ მუნდიალზე ჩაეყარა საფუძველი და დღემდე გრძელდება.

პლასიდო დომინგო, ხოსე კარერასი და ლუჩანო პავაროტი 10 000 მაყურებლის წინაშე წარსდგენ და ჯაკომო პუჩინის „ტოსკას" არიები იმღერეს. თუმცა ეს, ალბათ, ბოლო საფეხბურთო კონცერტია მსოფლიოს უდიდესი ტენორების მონაწილეობით, რადგან ლუჩანო პავაროტი, მისივე თქმით, კარიერას 2005 წელს დაასრულებს.

# კაცმა იოშიკაცუს, კაცო?!



იოშიკაცუ კავაგუჩი: მე ვარ ცისფერი?!

„შენ ცისფერი ხომ არ ხარ?" — ჰკითხა იაპონიის ნაკრების მწვრთნელმა ფილიპ ტრუსიემ მეკარე იოშიკაცუ კავაგუჩის და ამ უკანასკნელმა გაოგნებისგან ლამის ენა გადაყლაპა, მაგრამ მანამდე ვერ ამოიღო ხმა, სანამ მსოფლიოს ჩემპიონატი დასასრულს არ მიუახლოვდა.

მეკარემ ყველაფერი ახლა გაამხილა. კერძოდ, თქვა, ტრუსიესთან უთანხმოება მქონდა და მწვრთნელმა სათადარიგოთა სკამზე დასასმელად სხვა გონივრული მიზეზი რომ ვერ გამომიძებნა, ჰომოსექსუალისტობა დამაბრალაო.

ცნობისთვის, იოშიკაცუ კავაგუჩი ოთხი წლის წინ საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე იაპონელთა ძირითადი გოლკიპერი იყო. ამ მუნდიალზე კი ტრუსიემ იგი მოიძულა და მის ადგილზე სეიგო ნარაზაკი გაამწესა. არადა, კარში ყველა კავაგუჩის ჩადგომას ვარაუდობდა.

ჰომოსექსუალიზმში ეჭვმიტანილი იხსენებს, რომ ტრუსიე მას ჯერ კიდევ ნორვეგიასთან 0:3 წაგებული ამხანაგური მატჩის შემდეგ ძალლივით უღრენდა. ამის მიზეზი კავაგუჩის ერთ-ერთი კომენტარი ყოფილა პრესაში, სადაც მან მწვრთნელი გააკრიტიკა და თქვა, ამ კაცს ფეხბურთელები კი არა, რობოტები სჭირდება, რომლებიც მის ბრძანებას მანქანასავით შეასრულებენო.

აქვე საგულისხმოა ერთი ფაქტიც — ტრუსიეს სხვა მიზეზითაც შეეძლო კავაგუჩის ძირითადი შემადგენლობიდან მოკვეთა, მაინცდამაინც მის სექსუალურ ორიენტაციაზე რომ არ გაემახვილებინა ყურადღება. კერძოდ, ის, რომ კავაგუჩი შარშან ოქტომბერში ინგლისურ „პორტსმუთში" ჩაირიცხა და ძირითადში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. ამიტომ ტრუსიეს შეეძლო, კავაგუჩის სათადარიგოთა სკამზე გამწესება მისი სათამაშო პრაქტიკის არქონით აეხსნა და, ალბათ, ვერავინ შეედავებოდა.

**ირაკლი მეძუა**




ქირავდება აგარაკი კოჯორში

წაიყვანეთ ბავშვები,
უკეთეს ადგილს სად ნახავთ

ფასი არ შეგაშინებთ

ტ: 899 91-66-11; 29-35-80 (საღამოს)


# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

# საპორები საპოროდან

ზდაროვათ ქართველობას! ხვალ საღამოს მოვფრინავ და ჩაგეხუტებით „ნიკალაში". ის იაპონია შევარცხვინე, ქალები და კაცები დილიდან სამსახურში რო მირბიან და იმ საქართველოს გაუმარჯოს ქალები შინ, ოჯახებს რო უვლიან, კაცები კიდე სახლიდან რო გადიან კორპუსის წინ ხის სკამზე სიყვარულში ჩასალბობად. ხვალაც და ვსიო!

ეხლა, სუ მეკითხებიან, ფინალში რო ორი გუნდი გავიდა რამე გვითხარიო. დავაი, მაგის დედაც ვატირე.

გერმანია: სტროგი გუნდია, მანქანა, სვარკას თამაშობს. ვინც შეხვდა, ყველა დაჩაგრა, საუდის არაბეთიო, კამერუნიო, პარაგვაიო, ამერიკაო, კორეაო... ერთი ირლანდია ვერ დაჩაგრა, მაგრამ ირლანდია, ძმაო, უროვენია, რობი კინი ყავს, ბიჭი დაფრინავს. აზრზე მოდი, ტო — თურქეთში ჰასან შაშის სახელობის ხიდზე გადი — გერმანიას იმენა ერთი გოლი აქვს გაშვებული. მერე რა ფორვარდები უტევდნენ, მოჰამედ ალ შლუბიო, პატრიკ მბომაო, როკე სანტა კრუზიო, ლანდონ დონოვანიო, იუნგ-ჰვან ანიო. ნუ კინზე, თან რობიზე, ალარაფერს ვამბობ. იტოგში, გერმანია ხევს.

ბრაზილია: იმენა მაგარია, სამბა და რამე, სამბაა, ტო, აბა, ლუსიომ ოუენს ბურთი რო დაუგორა სამბა არ იყო? თუმცა, ბოდიში, იზვინი, ბრატ, დენილსონი კინტაურია, დაჟე შალახო. დაუვლის ბიჭი, ფეხებს მოუსვამს და ყველა გიჟდება, იმენა ეს რა ცეკვა სცოდნიაო. დგას ორივე გუნდი და უყურებს. ფოკუსიც ეგ არი, შენ გგონია, რო ფეხბურთელია, რახან ტრუსიკშია, მაგრამ ის ამ დროს ცეკვავს. შენ გგონია, რო ეგ ეხლა, ნინ წავა, გაამწვავებს, შეუტევს, ეგ კი პუმპლუც — მამენტ, ცხვირსახოცს დააგდებს და კბილით აილებს, ოღონდ იქ, იმ ადგილზე, საცეკვაო მოედანზე. მერე, როგორ დახაზეს ფუტბოლი?! თურქებთან სუ პენლები ურტყეს, კოსტა რიკასთან ძნელი თამაში ჰქონდათ, მაგრამ მოიგეს, ჩინეთი ჩინეთია, გაუშვი, არ უსვრია, ბელგიასთან ჯერ გოლებს არ უთვლიდნენ, მაგრამ ბოლოს გატეხეს სუდია, ინგლისი, ძმაო, 86 წლის ჩემპიონია. თან იმ მეკარეს, სიმენს არ გინდა გოლი გაუტანო? მერე ისევ თურქეთი და ორი ტაიმი მოწინააღმდეგის საჯარიმოზე. როგორია?

იტოგში მაგარი ფინალია. ისე, აბა, სხვა ვინ უნდა გასულიყო? რა, ჩამოვთვალო თავიდან? შენ ვის ბალეშჩიკობ, ძმაო? იტალიას? ეგ რომელია? რაღაც არ მახსოვს. კორეა მახსოვს, იტალია — არა. ა, არგენტინას? ის, გრძელთმიანი ბიჭები რომ იყვნენ ივნისის პირველ რიცხვებში, იმათ? რაო, რა თქვი? საფრანგეთს? ეგ ვაფშე რომელია, პადგრუპაში რო ჩარჩა ის? თუ მაგას პადგრუპაც არ უთამაშია? აბა, რომელია?

ეხლა, გული ვისზე დამწყდა? რუსეთზე? რატომ? იმიტომ, რომ სოჩა მომენატრა, დაგომისი, პლაჟი, სმეტანა და ვარვარა. არ გახსოვს, ორ გოგოს რო დავებაზრებოდით და ლენა ი ლენა რო იყვნენ ხოლმე?

იტოგში, ბრატიშკა, ვისაც გაუტყდა, რო თავისი საბალეშჩიკო გუნდი ვერ გაიყვანა ფინალში, ცივი წყალი დალიოს და ასე წრუპვა-წრუპვით 2006 წელიც მოვა. მეც გამიტყდა, ძმაო, ინგლისი რო გავარდა — ვილაცამ მითხრა, ცივილიზებული ხალხი ინგლისს ბალეშჩიკობსო და იმიტო — მაგრამ ვარ, ჩემთვის. ხო გახსოვს ინგლისმა იმენა გერმანიას, იმენა გერმანიაში 5:1 რო მოუგო? ეხლა ვნახავ, ერთი ფინალს და გეტყვი, რამდენით მოუგებდა ბრაზილიას.



ენგელბერტ პონტელავა
საპოროდან იმენა
კოსმოპოლიტური ბიუროსთვის

დალშე, რა შევნიშნე, როგორც ქართველმა მწვრთნელმა: იმენა, როგორც ქართველმა ტრენერმა შევნიშნე, რო ფუტბოლი ასეა: შეუტევ — შეგიტევს, ისევ შეუტევ — ისევ შეგიტევს.

დალშე ვინ არის საუკეთესო ფეხბურთელი? რუშთუ, მეორეზე კანი! მესამეზე ფადიგა, აი, ბრასლეტი თუ მძივი რო მოიპარა, მეოთხეზე ანი, მეხუთეზე სიმენი, მაგრამ პირველზე მაინც დენილსონია.

ეხლა, თუ ძმები ხართ, ჩადით ბუტკაში, პივა ამილეთ, ჩამიციეთ და რო ჩამოვფრინდები აეროპორტში დამახვედრეთ. საჩუქრები ყველასთვის მომაქ. ზოგისთვის ბაირონ მორენოს პატარა ქანდაკება, ზოგისთვის სიმენის პლაკატი ნატურ-ზომაში, ზოგისთვის ბატისტუტას კულულის წანაჭერი.

ასეა ეს, ვიცი მე.

**კიდე მოგწერთ თუ არა? აბა, საიდან. საპოროში აღარ ვიქნები და**

პივა! პივა დამახვედრეთ!
ავტორი:
ენგელბერტ პონტელავა
ხელმოწერა: +



შენ დაუკარ! დენილსონის კონტაური კონტროლსაც შემურდებოდით

მსოფლიოს ჩემპიონატის დღიური **28 ივნისი** გია ახვლედიანი

# სკოლარის ორშაბათი












**კვირა სალამოს** ლუიშ ფელიპე სკოლარი სახლში წავა

სახლამდე შორია, მაგრამ ბრაზილიელთა მწვრთნელს სწორედ კვირა საღამოს უმთავრდება კონტრაქტი ეროვნული ფეხბურთის კონფედერაციასთან. ანუ ფინალით მთავრდება სამუშაო დღე, ორშაბათ დილიდან კი სკოლარი უმუშევარი იქნება. თვითონაც ასე გადაუწყვეტია, ის კი არ იფიქროთ, რომ აგდებენ. მაგრამ არც ისაა, რომ გინდა თუ არა, დარჩით.

„დიდი ფილი" ერთი წელიწადია რაც ნაკრებშია და მთელი ეს დრო ბეწვის ხიდზე იარა. თავადაც ალიარა, ისე ვიარე ეს ერთი წელიწადი, რომ ცხოვრებაში ვერ წარმოვიდგენდი. იარა ამ ბეწვის ხიდზე „გრემიოსა" და „პალმეირასის" მწვრთნელმა, იარა და ცხრა მთა გადაიარა, სანამ იაპონიაში არ ჩავიდა. წავალ სახლში და ერთ კვირას ვიძინებო, ამბობს მსოფლიოს ჩემპიონატით აღტაცებული ბრაზილიელთა მწვრთნელი. ეს რა ყოფილა, რა ტკბილი, მღიდარი და ჭრელი ამბავიო, მოსწონებია მსოფლიოს თასი სკოლარის. ისიც მონდომებია, რომ კიდევ ერთხელ მოხვდეს მსოფლიოს ჩემპიონატზე როგორც მწვრთნელი, ოღონდ არა ბრაზილიის ნაკრების, არამედ, რომელიმე სხვა გუნდისა.

მოკლედ, აშკარაა, რომ „დიდი ფილი" ალარასოდეს გაწვრთნის ჯერჯერობით ოთხგზის ჩემპიონთა ნაკრებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ კვირა საღამოს ბრაზილია უკვე ხუთგზის ჩემპიონი იქნება.

თავის დროზე სკოლარი გაჭირვების ჟამს მოიყვანეს ნაკრებში, თუმცა მისი ტალკვესობისა არავის სჯეროდა. კონფედერაცია უფრო იმას ფიქრობდა, რომ ფილი წესრიგს დაუბრუნებდა ჭრელ, შესარჩევ ტურნირში ძალიან ცუდად მოთამაშე ნაკრებს. ბრაზილიელთა ფინალურ ეტაპზე გასვლა-არგასვლის საკითხი მარშან ამ დროს ძალიან მწვავედ იდგა. ამბობდნენ კიდეც, მგონი პირველად ხდება, რომ ბრაზილიის ნაკრები შესარჩევ ტურნირს ვერ გასცდებაო და სენსაციის მოლოდინში ყველა ხელებს იფშვნეტდა.

სკოლარიმ ისე გააღწია მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ ავსტრალიელებთან გადათამაშება არ დასჭირდა.

მერე მას გვარიანი კრიტიკა შეხვდა, როცა ნაკრების შემადგენლობა გამოაქვეყნა და იქ რამდენიმე საუკეთესო ბრაზილიელი ფეხბურთელი არ აღმოჩნდა.

ახლა რიოში საჩქაროდ შლიან კედლებიდან სკოლარის უზარმაზარ კარიკატურებს, სადაც ის ვირთან ერთადაა გამოხატული. ზედიზედ მესამედ, ბრაზილიის ნაკრები ჩემპიონატის ფინალშია.

სკოლარის მომავალი კი ჯერჯერობით უცნობია. ბრაზილიის ნაკრების ყოფილ მწვრთნელთა ერთგვარი ტრადიციის თანახმად, ეგებ „დიდი ფილი" რომელიმე მდიდარ არაბულ ქვეყანაშიც აღმოჩნდეს, სადაც ძალიან დიდ ხელფასს მიიღებს და მისი კლუბი, ან ნაკრები რაიმე საერთაშორისო წარმატებას ვერ მიაღწევს. მერე კი ალბათ კვლავ პორტუ ალეგრი, ან სან პაულუ. ასეთია ტრადიცია, ბრაზილიელი მწვრთნელები დიდ ევროპულ კლუბებში არ მუშაობენ. ისინი ძალიან ხშირად და სწრაფად, სკანდალებისა და ჩავარდნების თანხლებით იცვლიან დიდ კლუბებს თავიანთ ქვეყანაში, მაგრამ ბებერ კონტინენტზე მათ არავინ ეძახის. თუ ეძახიან და ძალიან იშვიათად, რაც ჩვეულებრივ წარუმატებლობით მთავრდება საშუალო და პატარა კლუბებში. ტელე სანტანას არ უმუშავია ევროპაში, არც კარლოს ალბერტო პერეირას, სებასტიანო ლაზარონის რომელიღაც იტალიურ სოფელში უცდია ბედი, მაგრამ მარცხიანად და ასე შემდეგ. არასოდეს გაწვრთნიან ევროპულ კლუბებს ვანდერლეი ლუშემბურგო და კლებერ ლეიტეც. აი, ის, რითაც არ ჰგვანან ბრაზილიელი მწვრთნელები არგენტინელ მწვრთნელებს, რომლებიც არცთუ დიდი წარმატებით, მაგრამ მაინც მუშაობდნენ და მუშაობენ ნაირგვარი გაქანების ევროპულ გუნდებში. ლეგენდარული არგენტინელი მწვრთნელები ევროპაშიც ისევე ლეგენდარულნი არიან, როგორც სამშობლოში.

ამ ბრაზილიურ ჩამონათვალში შეგვიძლია გამოვარჩიოთ სკოლარი, რომელიც არა, არა და ეგებ მაინც გამოდგეს სერია A-ში.

არა იმიტომ, რომ სკოლარი იტალიელია და თანაც იმ აღზრდისა და ფილოსოფიისა, როგორებიც იტალიაში თითქმის, ან საერთოდ აღარ არიან. არა იმიტომ, რომ ის ექსცენტრიულიც კია ხოლმე, რაც ასევე არ არის საჭირო დიდ იტალიურ კლუბში (თუმცა, პატარებში არსებობენ სერსო კოზმი და კარლო მაცონე).

არამედ, იმიტომ, რომ სკოლარი ძალიან მკვეთრი და სადა ნახაზების ოსტატია და ზურგსუკან უზარმაზარი საკლუბო გამოცდილება აქვს.

ის გამარჯვებული კლუბების მწვრთნელადაა ცნობილი ბრაზილიაში, არაადამიანურად უყვარს საკუთარ ნახევარზე საკუთარ საჯარიმოსთან თამაშის გამართვა და ალბათ, მსოფლიოში ყველაზე კარგად შეუძლია ეს ამბავი. ეგებ ეს მოულოდნელიც იყოს ბრაზილიელი მწვრთნელისგან, მაგრამ სკოლარი ასეთია და მას ვერავინ შეცვლის. არა მგონია, თავის ვარსკვლავებს სკოლარი ჯიქურ ეუბნებოდეს, ის მოჩეხე ეს დაამტვრიეო, მაგრამ, ცნობილია, რომ კლუბებში ის ხშირად აცხადებს ხოლმე მსგავს რამეებს.

სკოლარი ხშირად ამბობს, რომ ფეხბურთში სილამაზეს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს და მთავარი გამარჯვებაა. ამის თქმა იოლია, როცა რონალდო და რონალდინიო გყავს, რადგან რაც უნდა თქვა, ბრაზილიის ნაკრები მაინც მოხდენილ, ლამაზ და ჯადოსნურ, ნამდვილ გოლს გაიტანს. სკოლარის სერია A-შიც ექნება ამის თქმის საშუალება, რადგან იქ ზღაპრული თავდამსხმელები თამაშობენ.

თუმცა ევროპაში მწვრთნელად არ ყოფილა ის კაცი, ვინც ძალიან სოლიდური და მკაცრი თამაშით აქცია ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონად. კარლოს ალბერტო პერეირა ის საფეხბურთო მოღვაწე გახლავთ, ვინც ამ რვა-ათი წლის წინათ ბევრ ბრაზილიელ მწვრთნელს გადაუბრუნა ტვინი და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შერჩეული წარმატებული ტაქტიკა მათ სათამაშო კრედოდ აქცია. მათ შორის იყო „დიდი ფილიც", ვინც მანამდეც თამაშის ჩაშლის ტრფიალი გახლდათ.

და ახლა, ფინალის წინ, როცა სკოლარი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საღამოს ელის, საინტერესოა სწორედ პერეირას სიტყვები: „მიზეზი იმისა, რომ ბრაზილიის ნაკრები ასე კარგად თამაშობს მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთია. ეს არის ჩვენი ფეხბურთელების გამორჩეული, ზღაპრული ოსტატობა. ბევრ გუნდს ჰყავს დიდი ვარსკვლავი, მაგრამ ამ ჩემპიონატზე არავის ჰყავს ერთად რივალდო, რონალდო და რონალდინიო. თამაშის ბედს სწორედ ეს ფეხბურთელები წყვეტენ. ოლივერ კანი დიდი მეკარეა, მაგრამ თამაშის დროს ძალიან ძნელია, როცა სამ-ოთხი კაცისგან ერთდროულად ელი ხიფათს. ასეთ დროს დაცვას უჭირს კონცენტრირება. ძალიან ძნელია სამივეს ერთდროულად მოუარო. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ბრაზილიას აქვს როგორც ისტორიული, ასევე ცოცხალი გამოცდილება მსოფლიოს თასის მოგებისა. ეს ტურნირი, ჩვენი ტურნირია".

პერეირა ცამდე მართალია.

სკოლარიმ ისე გაიარა ჩემპიონატის ექვსი თამაში, რომ ბევრი არაფერი შეუცვლია. კოსტარიკელებთან ამხანაგურ თამაშს თუ არ ჩავთვლით, ბრაზილიელებმა ძალიან მკაცრად ითამაშეს. თანდათან სკოლარიმ ძირითად შემადგენლობას ჩამოაშორა ჟუნინიო. ეტყობა, მისი ტექნიკა ზედმეტად მიიჩნია, მისი ჯანი კი უკმარისად და ნახევარდაცვის გამკაცრება მისი დასვენების ხარჯზე სცადა. ეს არის და ეს სკოლარის ცვლილება. საფიქრებელია, რომ სიურპრიზებს არც ფინალში უნდა ველოდოთ. სკოლარი არ არის იმ ყაიდის მწვრთნელი, რომ სიურპრიზები უყვარდეს. მისი გუნდისა ყველამ ყველაფერი იცის.

კვირა საღამოს სკოლარი უმუშევარი იქნება, მაგრამ საქმეც ეს არის, რომ შეიძლება იყოს უმუშევარი და თან ფეხბურთის უდიდესი ტიტულის მფლობელიც.



## საგანგებო ლოზუნგი
## რივალდო კი არა, რონალდო!

# ლიდსი ოთხიან კუშს უმიზნებს




მარტინ ონილის სქოთური პრემიერლიგის ინგლისურისაზე გაცვლას სთხოვენ

**„ლიდს იუნაიტედის“** მწვრთნელის გამოთავისუფლებული ადგილი ჯერჯერობით ვაკანტურია, მაგრამ სკამის მაძიებელთა შორის ყველაზე ხშირად გლაზგოს „სელტიკის“ თავკაც მარტინ ონილის ასახელებენ. 50 წლის მწვრთნელის შანსი დევიდ ოლირის გათავისუფლების დღეს „უილიამ ჰილმა“ 4/1-ზე შეაფასა, ახლა კი ბუქმეიკერებმა კოეფიციენტის შემცირება იწყეს.

მოხსნილი დევიდ ოლირი ოჯახთან ერთად სარდინიაზე აპირებს დასვენებას, თუმცა ჩემოდნის ჩალაგებამდე ირლანდიელმა სპეციალისტმა პრესას გული გადაუშალა:

„სამსახურში ჩვეულებისამებრ 11 საათზე მივედი და თავმჯდომარემ მითხრა, დათხოვილი ხარო. დიდად არც გამკვირვებია, რადგან იმდენი ხანია, საფეხბურთო სამყაროში ვტრიალებ, ალარაფერი მიკვირს. აი, ხალხს კი, ეტყობა, მართლაც გაუკვირდა, რადგან მოგვიანებით ისინი ქუჩაში მხვდებოდნენ და გაოცებას ვერ მალავდნენ. ზოგი მათგანი ტიროდა კიდეც“ — თქვა 44 წლის ოლირიმ, რომელიც სერ ალექს ფერგიუსონისა და არსენ ვენგერის შემდეგ პრემიერლიგის ყველაზე მაღალხელფასიანი მწვრთნელი იყო. ახლა, „ლიდსი“ მას ორ მილიონ გირვანქას გადაუხდის საკომპენსაციოდ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ოლირიმ 2000 წელს „ლიდსთან“ ექვსწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, ხოლო რამდენიმე თვის წინ, როცა მის „მანჩესტერ იუნაიტედში“ შესაძლო გადასვლაზე დაიწყო ლაპარაკი, ირლანდიელმა კატეგორიულად იუარა და მას კლუბის თავმჯდომარე პიტერ რიდსდეილმაც აუბა მხარი, ოლირი არსად არ მიდისო.

შეგახსენებთ, რომ ოლირი „ლიდსიდან“ ხელმძღვანელობასთან სატრანსფერო პოლიტიკაში შეუთანხმებლობის გამო დაითხოვეს. პიტერ რიდსდეილი მისგან რიო ფერდინანდის და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის გაყიდვას ითხოვდა.

გუშინ ბრიტანულმა პრესამ რიდსდეილის ჯერ კიდევ შარშან ნათქვამი ამოქექა. თავმჯდომარე ბრძანებდა: „ოლირის მოქმედების სრული თავისუფლება აქვს მინიჭებული. ჩვენ მხარს ვუჭერთ მის სატრანსფერო პოლიტიკას და გვჯერა, რომ უახლოეს ორ წელიწადში იგი რაიმე ჯილდოს მოიგებს.“

ჯორჯ გრეჰმა, რომლის შემცვლელადაც ოლირი „ლიდსში“ 1999 წლიდან მუშაობს, თქვა: „დევიდმა „ლიდსი“ რამდენიმე წელიწადში დიდ კლუბად აქცია, ის ძალიან კარგი მწვრთნელია და აუცილებლად მიიწვევს პრემიერლიგის რომელიმე გუნდი“.

ბრიტანული ფეხბურთის ოდინდელმა ვარსკვლავმა ჯეკი ჩარლტონმა კი დასძინა: „დევიდის „ლიდსიდან“ გათავისუფლებამ გამაოცა, მაგრამ ეს ფეხბურთია — ხანდახან მოულოდნელობებიც ხდება“.

ბოლოს ისევ ოლირის მოვუსმინოთ: „მე მომწონდა ჩემი სამუშაო და ლიდსელებისგან ყოველთვის ვგრძნობდი მხარდაჭერას. გავაკეთე ის, რაც შემეძლო და უკმაყოფილო არ დავრჩენილვარ.“

**ნიკა ზუზლაძე**

# ოსასუნას სურნელი

## რუსებმა დეპორტივოს მიუკაკუნეს

**ესპანეთის ნაკრები** მსოფლიოს ჩემპიონატს გამოეთიშა და ამ ქვეყნის კლუბებმა ახალი სეზონისთვის გაძლიერებაზე დაიწყეს ფიქრი.

პამპლონის „ოსასუნამ“ მუნდიალის ესპანეთზე ადრე დამტოვებელი მექსიკის ნაკრების მწვრთნელ ხავიერ აგირესთან გააფორმა კონტრაქტი. აგირე კმაყოფილია და აცხადებს, ბედნიერი ვარ „ოსასუნაში“ დაბრუნებითო. შეგახსენებთ, რომ იგი ოთხმოციან წლებში „ოსასუნას“ მოთამაშე იყო.

სევილიური „ბეტისი“ კი მოწადინებულია, ალფონსო პერესი დაიბრუნოს. ანდალუზიურ კლუბში გატარებული ხუთი წლის შემდეგ ალფონსომ კატალონიის სიამაყე „ბარსელონაში“ გააგრძელა კარიერა, მაგრამ იმედგაცრუების გარდა არაფერი მიუღია. პირველ კატალონიურ სეზონში იგი მხოლოდ ოთხჯერ გავიდა მოედანზე, წინა სეზონში კი მარსელის „ოლიმპიკში“ გაანათხოვრეს, სადაც ალფონსო გუნდს 11 მატჩში ოთხი გოლით შეეწია.

რუსეთის ნაკრების უკრაინული წარმოშობის კაპიტანი ვიქტორ ონოპკო, რომელიც ხუთი წელია, ასტურიული „ოვიედოს“ მოთამაშეა, გალისიურ „დეპორტივოში“ გადასვლას ცდილობს. მაგრამ აქ საქმე საკმაოდ ჩახლართულია — კლუბს ფეხბურთელის 1.6 მილიონი ევრო მართებს, ონოპკო კი თანახმაა, თავისუფლების სანაცვლოდ ამ თანხაზე ხელი აიღოს.

თითქოს კლუბსაც ეს უნდა უნდოდეს, მაგრამ იქ დიდი ქაოსი სუფევს. შარშანწინ „ოვიედო“ სეგუნდადივიზიონში დაქვეითდა. გუნდმა ვერ შეძლო პრიმერაში პირველივე სეზონში დაბრუნება. ამას ფინანსური პრობლემაც დაერთო და გუნდს გაკოტრება ემუქრება. იმისთვის, რომ კლუბმა არსებობა არ შეწყვიტოს, იძულებულია, წამყვანი ფეხბურთელები ტრანსფერზე დააყენოს. მაგრამ ვინ? „ოვიედო“ ხელმძღვანელობის გარეშეა დარჩენილი. ძველები, მიგელ სანტოსის მეთაურობით, ფაქტობრივად უუფლებოდ დარჩნენ, ხოლო ახალი ხელმძღვანელობის შექმნის იდეა, რომელსაც მანუელ ლაფუენტე უნდა ჩაღგომოდა სათავეში, ამ უკანასკნელის უარის გამო ჩაიფუშა. ასე რომ, „ოვიედოს“ პრობლემები თავზე საყრელად აქვს. ისე, რუსულ პრესას თუ ვერწმუნებით, „დეპორტივოც“ დაინტერესებულია ონოპკოს შეძენით.

ასევე „დეპორტივოში“ გადასვლას ცდილობს მეორე რუსი ფეხბურთელი ვალერი კარპინი, რომელიც ალექსანდრ მოსტოვოისთან ერთად ვიგოს „სელტას“ წამყვან ფეხბურთელად ითვლება. თავის მხრივ, მოსტოვოიც აპირებს გალისიური კლუბის დატოვებას, ცოტას მიხედიანო.

ერთი სიტყვით, ესპანეთში სატრანსფერო ციებ-ცხელება დაიწყო.

**ზურაბ რუხაძე**



ხავიერ აგირე

# აქ რომ კარგი მწვრთნელი იყო, იქაც არ გვავიწყდებაო

**კიევის** „პრეზიდენტ ოტელში“ უკრაინის საფეხბურთო ლიგამ წინა სეზონის შედეგები შეაჯამა და საუკეთესო მწვრთნელად ახლახან გარდაცვლილი ვალერი ლობანოვსკი დაასახელა. ლობანოვსკის შეგირდი, კიევის დინამოელი ალექსანდრ ბელკევიჩი კი სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად ცნეს. ბელორუს ნახევარმცველს ამ ნომინაციაში დონეცკის შახტარელი ტიმოშჩუკი და შიშჩენკო უწევდნენ კონკურენციას.

კიევის „დინამომ“ FAIR PLAY-ს საგანგებო პრიზიც მიიღო. საუკეთესო არბიტრად სიმფეროპოლელი ვასილ მელნიჩუკი დასახელდა. ლიგამ ვიაჩესლავ გროზნის დისკვალიფიკაციაზეც იმსჯელა (გროზნის 1997 წლის დეკემბრიდან უკრაინულ კლუბებში მუშაობა აკრძალული ჰქონდა) და სასჯელი მოუხსნა. ასე რომ, „სპარტაკის“ ყოფილი მეორე მწვრთნელი მომავალი სეზონიდან, ალბათ, კიევის „არსენალში“ იმუშავებს.

# კორეაში დამტვრეულს ტურინში მოარჩენენ

**მსოფლიოს ჩემპიონატმა** აპენინელებს „სკუადრა აძურას“ საეჭვო ვითარებაში გავარდნის გარდა სხვა პრობლემაც გაუჩინა. ექიმების თქმით, იტალიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ ნახევარმცველი ჯანლუკა ძამბროტა სამი თვით იძულებით დაისვენებს. მიზეზი მარცხენა ფეხზე კუნთის გაწყვეტაა. ეს ტრავმა იუვენტუსელმა კორეასთან ავადმოსაგონარ მერვედფინალურ მატჩში მიიღო.

ტრავმების მხრივ სიმშვიდეა „მილანში“. ერთი ეგაა, ჟურნალისტები მანუელ რუი კოშტას „ბარსელონაში“ გადასვლაზე ალაპარაკდნენ და ამ ხმების უარყოფა თავად ადრიანო გალიანის მოუხდა. მისი თქმით, რუი კოშტა მომავალ სეზონშიც კლუბში დარჩება.

მილანელი ანდრეა პირლო კი ახალშეძენილი დანიელი იონ დალ ტომასონითაა აღტაცებული. ამბობს, მართალია, ჯერჯერობით არ ვიცნობ, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრწყინვალედ ითამაშა და მჯერა, გუნდს გააძლიერებსო. პირლო, „მილანის“ მეორე ახალწვეულ, ჰოლანდიელ კლარენს ზეედორფსაც შეეხო: „ზეედორფს ჯერ კიდევ „ინტერიდან“ ვიცნობ, ის და ტომასონი „მილანს“ ძალიან ბევრ პრობლემას მოუხსნიან“ — განაცხადა იტალიის ახალგაზრდული ნაკრების წევრმა. შეგახსენებთ, რომ „მილანმა“ „ინტერს“ ზეედორფში ფრანჩესკო კოკო გაუცვალა.

**სერგი ქორიძე**



ჯანლუკა ძამბროტას ტრავმამ ტრაპატონი კორეაში ააყვირა, „იუვენტუსი“ კი ტურინში




# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 29 ივნისი | | | | | | | | | |
| 16.00 | 1163 | კორეა-თურქეთი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| | | 30 ივნისი | | | | | | | | | |
| 16.00 | 1164 | ბრაზილია-გერმანია | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,0 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |

### ინტერტოტო. I ეტაპი. II წრე.

2002 წ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 29 ივნისი | | | | | | |
| 19.00 | 056 | ვიტ ჯორჯია-ლოკერენი | | | ანგარიში – 5,0 | | | |
| 19.00 | 057 | კაერსისი-მარეკი | 3,0 | 3,1 | 2,2 | 1,5 | 1,25 | 1,25 |
| 19.00 | 058 | უნიონი-გლორია | 4,7 | 3,5 | 1,6 | 2 | 1,15 | 1 |
| 20.00 | 059 | ბროტნიო-ციურიხი | 3,2 | 3,3 | 2,0 | 1,6 | 1,2 | 1,2 |
| 20.00 | 060 | კოპერი-ჰელსინგბორგი | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 20.00 | 061 | ლევადია-ლეირია | 3,1 | 3,0 | 2,2 | 1,5 | 1,25 | 1,25 |
| 20.00 | 062 | სლავენი-დუკლა | 1,75 | 3,2 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| 20.00 | 063 | სანტ ჯულია-კოლრეინი | 5,3 | 3,5 | 1,55 | 2,1 | 1,1 | 1,05 |
| 20.00 | 064 | აშდოდი-ბრნო (ნეიტრ.) | 2,4 | 3,2 | 2,4 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 21.00 | 065 | აკადემიკი-ბატე | 1,6 | 3,5 | 4,7 | 1 | 1,15 | 2 |
| 21.00 | 066 | ბ68 ტოფტირი-სენტ გალენი | 4,7 | 3,5 | 1,6 | 2 | 1,15 | 1 |
| 21.00 | 067 | ჰაფნარფიორდური-ცემენტარნიცა | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 21.00 | 068 | ტეუტა-ვალეტა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,2 | 2,3 |
| 21.30 | 069 | ბრეგენცი-პარალიმნი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| 22.00 | 070 | ქალგირისი-ჰონვედი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| | | 30 ივნისი | | | | | | |
| 18.00 | 071 | შირაქი-სანტა კლარა | 3,2 | 3,1 | 2,1 | 1,55 | 1,25 | 1,2 |
| 19.30 | 072 | სენტ პატრიკსი-რიეკა | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,3 | 1,2 | 1,4 |
| 20.00 | 073 | სინოტი-კონსტრუქტორული | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 21.00 | 074 | პკა-ობილიჩი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 21.00 | 075 | დინაბურგი-ზაგლებე | 2,2 | 3,0 | 3,1 | 1,25 | 1,25 | 1,5 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


## მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში

# კროკო

ყოველდღიურად (ორშაბათის ჩათვლით) იმუშავებს

**სამუშაო საათები 9⁰⁰ — 19⁰⁰**

მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების პირდაპირი რეპორტაჟების (ერთდროულად დანიშნული შეხვედრების შემთხვევაში, ორივე მატჩის პარალელურად) ნახვა და მოგებული თანხის თამაშის დამთავრებისთანავე მიღება შეგეძლებათ

## ნებისმიერ ბიუროში


| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ნორვეგია. XIV ტური | | | | | | |
| | | 30 ივნისი | | | | | | |
| 21.00 | 017 | ბოდიო გლიმტ-ვოლერენგა | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,4 |
| 21.00 | 018 | ბრანი-მოლდე | 2,8 | 3,3 | 2,2 | 1,5 | 1,2 | 1,3 |
| 21.00 | 019 | ლინი-ბრანი | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 21.00 | 020 | ოდ გრენლანდი-როზენბორგი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,45 | 1,2 | 1,3 |
| 21.00 | 021 | სოგნდალი-მოსი | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1,2 | 1,2 | 1,6 |
| 21.00 | 022 | სტაბეკი-სტარტი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 21.00 | 023 | ვიკინგი-ლილესტრიომი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,9 |
| | | მსოფლიოს ჩემპიონატი | | | | | | |
| | | მატჩი მესამე ადგილისთვის | | | | | | |
| | | ძირითადი დრო. | | | | | | |
| | | 29 ივნისი | | | | | | |
| 16.00 | 163 | კორეა-თურქეთი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| | | მსოფლიოს ჩემპიონატი | | | | | | |
| | | ფინალი. ძირითადი დრო. | | | | | | |
| | | 30 ივნისი | | | | | | |
| 16.00 | 164 | ბრაზილია-გერმანია | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,1 | 1,1 | 1,7 |

### მსოფლიოს ჩემპიონატი. გაიმარჯვებს ოქროს გოლით

29 ივნისი

16.00 4063 კორეა-თურქეთი ---------- 6,5 ---------- 7,5

30 ივნისი

16.00 4064 ბრაზილია-გერმანია ---------- 6,0 ---------- 8,0

### მსოფლიოს ჩემპიონატი. გაიმარჯვებს პენალტების სერიით

29 ივნისი

16.00 4163 კორეა-თურქეთი ---------- 9,0 ---------- 10,0

30 ივნისი

16.00 4164 ბრაზილია-გერმანია ---------- 8,0 ---------- 10,0

### I ტაიმის შედეგი

29 ივნისი

16.00 1063 კორეა-თურქეთი 2,8 2,1 3,3

30 ივნისი

16.00 1064 ბრაზილია-გერმანია 2,4 2,0 4,4

### რამდენი გოლი გავა მატჩში (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

29 ივნისი

16.00 2063 კორეა-თურქეთი ---------- 1,65 ---------- 1,85

30 ივნისი

16.00 2064 ბრაზილია-გერმანია ---------- 1,65 ---------- 1,85

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს

---------- კი ---------- არა

29 ივნისი

16.00 2163 კორეა-თურქეთი ---------- 1,75 ---------- 1,75

30 ივნისი

16.00 2164 ბრაზილია-გერმანია ---------- 1,75 ---------- 1,75

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (ძირითადი დრო)

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

29 ივნისი

16.00 2263 კორეა-თურქეთი ---------- 1,8 ---------- 2,0

30 ივნისი

16.00 2264 ბრაზილია-გერმანია ---------- 1,7 ---------- 2,2

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | 29 ივნისი | | | |
| 16.00 | 2963 | კორეა-თურქეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 30 ივნისი | | | |
| 16.00 | 2964 | ბრაზილია-გერმანია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

29 ივნისი

16.00 3963 კორეა-თურქეთი ---------- 1,65 ---------- 2,0

30 ივნისი

16.00 3964 ბრაზილია-გერმანია ---------- 1,4 ---------- 2,5

### ჩემპიონი

30 ივნისი 16.00

3651 ბრაზილია ---------- 1,4

3655 გერმანია ---------- 2,5

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, Iბ კორპუსი | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა № 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| | მშვიდობის გამზირი №11 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# ინტერტოტოს თასი

## ვაკეში ბოსკამპის აჩრდილი გამოჩნდა

### პუტი გვაიმედებს, ზანგი გვემუქრება, კარნევალი დისციპლინაზე დარდობს

ინტერტოტოს თასი 2002. პირველი შესარჩევი ეტაპი. საპასუხო მატჩი

**ვიტ ჯორჯია — ლოკერენი**

პირველი მატჩი 1:3

თბილისი. ლოკომოტივი. (ტევადობა 25 600). 29 ივნისი. 19 საათი



ჟანი კარნევალი

**სალამოს** ხუთ საათზე მოადგა ბელგიური „ლოკერენი" ვაკის სტადიონს. უჩუმრად ჩამოვიდნენ ბელგიელები ავტობუსიდან, სტადიონი შეათვალიერეს, მოწონების ნიშნად თავები დააქნიეს და ხმის ამოუღებლადვე გასახდელში გაუჩინარდნენ.

სტუმართა კლუბის ხელმძღვანელობაც გვარიანი სიტყვაძუნწი აღმოჩნდა. ზომაზე მეტად ფერხორციან პრეზიდენტს თანაშემწეები თავჩაღუნულნი მიჰყვებოდნენ კვალში. მოედანი გადაჭრეს და დასავლეთ ტრიბუნაზე ჩრდილში მოკალათდნენ. ყოველგვარი ემოციის გარეშე, გაყინული მზერით ადევნებდნენ თვალს ფეხბურთელების ვარჯიშს. საათნახევრის მანძილზე თითქმის არ განძრეულან, მხოლოდ მაშინ წამოიშალნენ, როცა „ვიტ ჯორჯიას" თავკაცი გურამ რუხაძე მიუახლოვდა და მიესალმათ.

„ლოკერენი" შავი ფერის ტრუს-მაისურებში გამოწყობილი გამოვიდა სავარჯიშოდ. შვიდი შავკანიანი ფეხბურთელია სტუმართა რიგებში და შორიდან გეგონებოდათ, მხოლოდ სავარჯიშო სამოსი მოძრაობსო. მწვრთნელები წითლად შემოსილიყვნენ და სულ თავში რომ მიუძღვებოდა გუნდს, ვაკის სტადიონზე შეკრებილ მოსიერებს ჩვენში მყვირალა ჰოლანდიელად ცნობილი იოჰან ბოსკამპი ეგონათ. ბელგიელთა მთავარი მწვრთნელი ცოტა განიერი და ჩასუქებული რომ იყოს, მართლაც ბოსკამპის ალი-კვალი იქნებოდა. ისე, ხმამაღალი ლაპარაკი პოლ პუტსაც ჰყვარებია, მაგრამ მისი ხმა ბოსკამპის ღრიალთან შედარებით სიმღერად მოგეჩვენებოდათ.

მწვრთნელმა ლოკერენულ მატჩში პირველი გოლის გამტანი ზუნდი თანაშემწეს გადააბარა, დანარჩენები თავად დაიტოვა და წვრთნაც გახურდა. ბელგიელები ყველაფერს ბურთით აკეთებდნენ, სხვადასხვა კომბინაციას ამუშავებდნენ, უფრო სწორად, ნასწავლს იმეორებდნენ და პრესინგის დაძლევაში იწაფებოდნენ

ზუნდის კი ეტყობა, რომ მარცხენა ფეხი მართლაც აწუხებს. ჯერ ექიმის მითითებით გაიხურა კუნთები, მერე კი პუტის თანაშემწემ ამუშავა ბურთით. ფორვარდი სულ ბოლოს შეუერთდა დანარჩენ თანაგუნდელებს, მაგრამ ორთაბრძოლებს აშკარად თავს არიდებდა. საათნახევარი ისე გაილია, მოედანზე მხოლოდ მწვრთნელის ხმა და ბურთების ბაგაბუგი ისმოდა. ბელგიელებს შინიდან წამოღებული ბურთები აღარ ეყოთ და ვეტერინარებს დამატებით 20 ცალი მოსთხოვეს. უარს ვინ ეტყოდა სტუმარს, ხუთ წუთში ბურთებით გაბერილი ორი ბადურა „ლოკერენის" განკარგულებაში იყო.

ათლეტური და განსწავლული გუნდი ჩანს „ლოკერენი", მწვრთნელის მითითებების ზედმიწევნით შემსრულებელი. მართალია, ცოტა სიზანტეც ეტყობათ, მაგრამ გამორჩეული მოთამაშეები ჰყავთ და თამაშის აწყობასაც ისლანდიელი კრისტინსონის და ბურკინაფასოელი ზუნდის გარშემო აპირებენ.

ნავარჯიშევს ფეხბურთელებმა უმალ გასახდელს მიაშურეს, გზად კი დაგვიბარეს, ორბურთიანი უპირატესობით აქაც მოვიგებთო. განსაკუთრებით აყლაყუდა შავკანიანი მცველი იყო კარგ ხასიათზე, რომელიც ცოტა მწყრალად არის ბურთთან და მისი მისამართით გაკეთებული ყველა პასის შემდეგ შეგირდის მოუხეშაობის შემხედვარე პირქუშ პოლ პუტსაც კი ელიმებოდა.

„ლოკერენის" თავკაცი მოედანზე ჩანდა ჯაჯღანა და ზომაზე მეტად მომთხოვნი, თორემ ჟურნალისტების წინ მორჩილად დადგა. მიუხედავად გაზეპირებული და უკვე მოსმენილი ფრაზებისა, პუტმა მაინც თავაზიანი კაცის შთაბეჭდილება დატოვა. „ვიტ ჯორჯია" კარგი გუნდია, შემდეგ ეტაპზე გასვლა, ჩვენი ორბურთიანი უპირატესობის მიუხედავად, გარანტირებული სულაც არ გვაქვსო, დაგვაიმედა ბელგიელმა და გაგვეცალა.

სტუმართა გასვლა და ჟანი კარნევალის შეგირდებიანად გამოჩენა ერთი იყო. ერთი საათი ივარჯიშეს ვიტელებმა. მართალია, ცოტა დაძაბულობა ეტყობოდათ, მაგრამ მწვრთნელის მითითებებს ასრულებდნენ. კარნევალი მოვარჯიშე ბიჭების ირგვლივ ბოლთას სცემდა. გუშინ სინიორ ჟანის არ დასჭირვებია ხმის ამაღლება.

წვრთნას რომ მორჩნენ, კარნევალიმ ლევან მელქაძე და გიორგი ადამია მოედანზე შეაყოვნა. დაახლოებით ათი წუთი რაღაცას უხსნიდა, მერე ყველას სათითაოდ მიეფერა და ჩვენკენ მობრუნდა:

„ნერვიულობას ვამჩნევ ჩემს ფეხბურთელებს. არა, „ლოკერენის" კი არ ეშინიათ, უბრალოდ, გულით სწადიათ საკუთარი ქომაგის თვალწინ გამარჯვება და არასასურველ შედეგს უფრთხიან. 90 წუთი ორბურთიანი დეფიციტის გასაბათილებლად საკმარისი დროა. მეშინია, ბიჭებმა თავიდანვე უკანმოუხედავად არ შეუტიონ, ზურგი არ მოიშიშვლონ და საბედისწერო შეცდომა არ დაუშვათ. ჩვენ ნელ-ნელა უნდა გავაძლიეროთ მეტოქეზე ზეწოლა, ტემპსაც ასევე მოვუმატოთ და თუ სათამაშო დისციპლინის დაცვა ბოლომდე მოვახერხეთ, დარწმუნებული ვარ, შემდეგ ეტაპზე „ვიტ ჯორჯია" გაალწევს".

**გაგუკა ქვანტალიანი**

## ჩემპიონი მთიდან ეშვება

**ქვეყნის ჩემპიონმა** „ტორპედომ" საახალსეზონო მზადების პირველი ეტაპი მოილია. დღეს გუნდი ბაკურიანიდან ქუთაისში დაბრუნდება. მაღალმთიან დაბაში ქუთაისელებმა 12-დღიანი შეკრება გაიარეს და ეს დრო ფიზიკურ წრთობას მოახმარეს.

— მიუხედავად იმისა, რომ ბაკურიანში ამინდი არ გვწყალობდა, მეტი დრო ავდარში გვიწევდა ვარჯიში, ვფიქრობთ, მაინც ნაყოფიერად ვიმუშავეთ, მოთამაშეთა უმრავლესობამ დატვირთვებს გაუძლო — გვითხრა გუშინ „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელის ერთ-ერთმა თანაშემწემ სოსო ფრუიძემ — უკეთესი იქნებოდა, ყველა ფეხბურთელი ერთდროულად შეგვეკრიბა, თუმც მიზეზთა გამო ეს არ მოხერხდა. მეტიც, ბაკურიანში რამდენიმე მოთამაშე მოვისაკლისეთ. საწყენია, რომ „ტორპედოში" დარჩენა აღარ ისურვა ვალერი აბრამიძემ. ნამეტანი დაუგვიანდა უკრაინიდან ჩამოსვლა ანდრი პოროშინს, გივი დიდავამ კი შუა შეკრებიდან დაგვტოვა. რამდენადაც ვიცით, იგი ახლა ვლადიკავკაზის „ალანიაში" ისინჯება. სხვა მხრივ პრობლემები არ გვქონია. „ტორპედოს" თავკაცი ალექსანდრ შტელინი, მოგეხსენებათ, გუნდში რამდენიმე ყოფილი ტორპედოელის დაბრუნებას აპირებს. ბაკურიანში ამათ მიმართ სასაყვედუროს ვერაფერს ვიტყვით. ყველანი გულიანად ვარჯიშობდნენ. დიდი შანსია შტელინმა გუნდში მერანეილ სოსო დევიძე და მასთან ერთად რეგიონულიდან პირველ ლიგაში აღზევებული „მცხეთის" თავდამსხმელი ვლადიმერ ქუთათელაძე დაიტოვოს. ქუთაისისკენ ხვალ დილით მოვდივართ, სალამოს ექვს საათზე კი „ტორპედოზე" ფოთის „კოლხეთს" ამხანაგურად გავეჯიბრებით. მომავალ კვირაში ალბათ, თურქეთში ერთ-ერთ შავიზღვისპირა კურორტზე გავემგზავრებით და ჩემპიონთა ლიგის



სოსო ფრუიძე

პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ფარერის კუნძულების „B36"-თან სათამაშოდ მზადებასაც იქ გავაგრძელებთ.

**იუზა ქაციტაძე**

## ბაქოს მაინც ვერ ასცდა

**საქართველოს** მოყვარულთა ნაკრები რომ უეფას რეგიონთა თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას, ადრე გაუწყეთ. ტურნირის შესარჩევი ეტაპი სექტემბერში დაიწყება. შეგახსენებთ, რომ ჯემალ მახარაშვილის შეგირდთა მეტოქეები პირველ ჯგუფში აზერბაიჯანის, უკრაინისა და საბერძნეთის გუნდები არიან.

შეთანხმებისამებრ, შესარჩევი ეტაპისთვის ბაქოს უნდა ემასპინძლა, თუმც აზერბაიჯანულ ფეხბურთში გამეფებული ქაოსისა და არეულობის გამო ისინი უარს აცხადებდნენ ამაზე და სავარაუდო მასპინძლად ათენსაც ასახელებდნენ. თუმც უეფამ რამდენიმედღიანი ვადა ითხოვა, აზერბაიჯანელებს მოელაპარაკა და როგორც გუშინ თბილისის ფეხბურთის ფედერაციიდან გვაცნობეს, ბაქომ მასპინძლობაზე თანხმობა განაცხადა.

ამგვარად, ქართველები სამეზობლოს 18 სექტემბერს ეწვევიან. მეორე დღეს საბერძნეთს ეთამაშებიან, 21-ში — უკრაინას, 23-ში კი აზერბაიჯანელებთან გაარკვევენ ურთიერთობებს. აქვე გეტყვით, რომ ფინალური ეტაპის საგზურს მხოლოდ პირველადგილოსანი მოიპოვებს.

მანამდე კი ჯემალ მახარაშვილი შეგირდებს თბილისში ავარჯიშებს. უახლოეს მომავალში ქართველი მოყვარულები შეკრებაზე გადავლენ, მერე კი ერთ საწვრთნელ შეკრებას უცხოეთშიც გაივლიან.

**კახა ზალამბერიძე**



გუშინ ვაჟა ჩხაიძემ მერაბ ჟორდანია და დავით პეტრიაშვილი თანაგუნდელებად მოიხსენია

## წმინდა შტაბით, უსიგარეტოდ და ძველი გურულით

### ვაჟა ჩხაიძემ ქართული ფეხბურთის მტრები გამოააშკარავა

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება და პრეზიდენტობის კანდიდატებიც იწყებენ წინასაარჩევნო კამპანიას. დავით პეტრიაშვილმა უკვე წარუდგინა საზოგადოებას საკუთარი პროგრამა.

გუშინ კი რესტორან „იმერეთში" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კიდევ ერთმა კანდიდატმა, საფეხბურთო კლუბ „მრეტების" პრეზიდენტმა ვაჟა ჩხაიძემ ჟურნალისტები პრესკონფერენციაზე მიიწვია. მის ნაუბარს აქვე მონოლოგის სახით გთავაზობთ:

— ჩემი მთავარი პრინციპი სიმართლეა. ყოველგვარ ბინძურ ქმედებებს კანონითა და სამართლებრივი ენით უნდა დავუპირისპირდეთ. დღევანდელ ქართულ ფეხბურთში კი სრულიად საპირისპირო მდგომარეობაა.

–ვფიქრობ, არჩევნები გადაიდება. საარჩევნო კანონები შესაცვლელია, რაც გარკვეულ დროს ითხოვს. ეს კი აგვისტომდე რომ არ მოესწრება, ფაქტია. ალბათ, არჩევნებიც ოქტომბერში ჩატარდება, თუმც მინდა, დაგარწმუნოთ, რომ ეს გამარჯვებაში ხელს ვერ შემიშლის.

–დიდი შანსია, რომ არჩევნები ისევ გააყალბონ, თუმც ამას არ დავუშვებ. სიმართლე ჩემს მხარესაა. მართალი კაცი კი არსად დაიკარგება.

...ქართულ ფეხბურთს უამრავი მტერი ჰყავს. მე მათი დასახელებისაც არ მეშინია. უმთავრესი დამნაშავენი კი ცხონებული ნოდარ ახალკაცი, დავით კვინიკაძე, ალექსანდრე ჩივაძე და დღევანდელი ფედერაციაა. ნოდარ ახალკაცს, როგორც მწვრთნელს, უდიდეს პატივს ვცემ, ასევე ვაფასებ ჩივაძე-ფეხბურთელს, მაგრამ მათ ფეხბურთის ფედერაციის სათავეში ყოფნისას სიკვდილის პირას მიიყვანეს ქართული ფეხბურთი. მე ყოველთვის ვებრძოდი ამ ადამიანებს. მოგვიანებით გერმანიაში წასვლამაც მომიწია, მაგრამ ბრძოლა არც მაშინ შემიწყვეტია.

...როცა ქართულ ფეხბურთზე ვლაპარაკობთ, რატომღაც არავის ახსენდება ანდრო ჟორდანია. სწორედ მან მისცა ქართულ ფეხბურთს თავისი სახე და ხიბლი. ახლა კი რა? დღეს აქეთ გვახვევენ თავზე ბინძურ აზრებს. სიმართლე კი სულ სხვაგანაა საძებარი. მე მზად ვარ, ქართული ფეხბურთი სიმართლის გზით ვატარო და როცა გავიმარჯვებ, ასეც მოვიქცევი.

...რას ემყარება ჩემი ოპტიმიზმი? ჩემი ოპტიმიზმი უპირველესად თავად ვაჟა ჩხაიძეს ემყარება, მერე მიშა მესხს, სლავა მეტრეველს, ანდრო ჟორდანიას და კიდევ სხვა კორიფეებს. ასევე დიდი იმედი მაქვს გულშემატკივრების. იმედია, მთელი საფეხბურთო საქართველო დაინახავს, რომ ჩემი მხარდაჭერით ბევრს მოიგებს.

–ფეხბურთის ფედერაციის ახლანდელი აღმასკომის წევრებს არანაირი წარმოდგენა არა აქვთ წესდებაზე, დებულებაზე, კანონზე და სამართლებრივ ბაზაზე. მათ არც იციან, რას ნიშნავს ეს. აი, მე რომ გავიმარჯვებ, ამაში ეჭვიც არ შეგეპაროთ, აღმასკომი აბსოლუტურად განსხვავებული შემადგენლობის იქნება. მე წმინდა შტაბი მეყოლება და არა ჩემი მეგობრები და ძმაკაცები. მეტსაც გეტყვით, ფედერაციაში სიგარეტსაც კი ვერავინ მოწევს.

–ვერ გამიგია, რა შანსები უნდა ჰქონდეთ მერაბ ჟორდანიას და დავით პეტრიაშვილს. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ მათ არჩევნების გაყალბების უფლებას არ მივცემ. დავით პეტრიაშვილი ადრე სწორედ მერაბ ჟორდანიას გუნდის წევრი იყო და ახლაღა გადაწყვიტა განზე გადგომა. ისინი იმ ფედერაციაში მუშაობდნენ, რომელმაც ქართული ფეხბურთი ასეთ მდგომარეობაში ჩააგდო. ხმამაღლა ვაცხადებ, რომ დავით პეტრიაშვილი იყო იმ ჯგუფის წევრიც, რომელმაც „მრეტებს" მილიონები წაართვა. ამ საქმეში დავით კვინიკაძეც არის გარეული.

...რა ვითარებაა ბავშვთა ფეხბურთში? ბავშვთა საფეხბურთო სკოლებს არჩევნებში მონაწილეობის უფლებაც არა აქვთ. სად იყვნენ აქამდე, ეძინათ? ბავშვთა ფეხბურთით უნდა იწყებოდეს ყველაფერი...

...მიშელ ზენ-რუფინენი ფიფადან უკვე წავიდა. დარწმუნებული იყავით, მალე ზეპ ბლატერიც უკან მიჰყვება. მის წინააღმდეგ ბრძოლას კვლავაც გავაგრძელებ.

...ბიზნესმენებს და პოლიტიკოსებს ვთხოვ, მხარი დამიჭირონ და გვერდში დამიდგნენ. მე აუცილებლად გავიმარჯვებ. არ ვიცი, რას იზამენ ახალი გურულები, თუმც პირობას გაძლევთ, რომ ძველი გურული ჩემს მხარესაა. მხარს მიჭერს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორეც. ამას მალე დაინახავთ.

**კახა ზალამბერიძე**

ეს კვირა შთაბეჭდილებებით და ემოციებით დატვირთული გამოდგა 19 წლის ქართველი კალათბურთელი ნიკოლოზ ცქიტიშვილისთვის. 26 ივნისს მის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ამბავი მოხდა, ნიკა ნბა-ს 2002 წლის დრაფტზე მეხუთე ნომრად აირჩია „დენვერ ნაგიტსმა“. ერთი დღის შემდეგ ცქიტიშვილი უკვე დენვერში იყო, სადაც საგანგებო პრესკონფერენციაზე კლუბმა მეორე შერჩეულ მოდრაფტე, ბრაზილიელ ნენე ილარიოსთან ერთად დენვერელებს წარუდგინა.

ცქიტიშვილი ილარიოსთან ერთად პირობითი – 02-ნომრიანი დენვერული მაისურით წარუდგა ადგილობრივ მედიას. მეტ-ნაკლებად ყველა მხარე კმაყოფილი ჩანს, უფრო მეტად „დენვერის“ ახალწვეულები, ცოტა ნაკლებად ყოველთვის თავშეკავებული და მუდამ კრიტიკისთვის მზადმყოფი პრესა. დენვერულმა გაზეთებმა, რაღა თქმა უნდა, გარკვეული საგაზეთო ფართობი დაუთმეს „ნაგიტსის“ უცხოტომელ ახალბედებს.

# nba draft 2002



ორი ბედნიერი: ნენე ილარიო და ნიკა ცქიტიშვილი

# ახალწვეულები შთაბეჭდილებას ქმნიან

**ადრიან დეიტერი**
*DENVER POST*

**ვერ** გეტყვით, რამდენი წლის შემდეგ გახდება ნბა-ს ვარსკვლავებისთვის საშიში მეტოქედ ნიკოლოზ ცქიტიშვილი, მაგრამ ფაქტია, ის მალე დაიპყრობს „დენვერის“ მდიდრი ქომაგების გულებს. ამასთან, მიამიტური სახის, ბავშვურად მხიარული გამომეტყველების ქართველ ბიჭს ამ მხრივ სერიოზული კონკურენტი ეყოლება ასევე დრაფტიდან, „დენვერში“ რამდენიმე წუთით გვიან მოსული კვიმატი და ოხუნჯი ბრაზილიელის, ნენე ილარიოს სახით.

ისინი უცებ გაუშინაურდნენ ჩვენს ქალაქს. ცქიტიშვილი აღფრთოვანებულია მთებით. ის ჯერ სამშობლოში, საქართველოს რესპუბლიკაში, შემდეგ კი პირველ უცხო ქვეყანაში, სლოვენიაში, ტკბებოდა მთების პეიზაჟებით, ახლა კი კორდილიერების გარემოცვაშია. „ნამდვილად ბედნიერი ვარ აქ ყოფნით, ახლახან ჩამოვედი და უკვე შემიყვარდა ეს ქალაქი. ისე, გაოცებული ვარ, არ მეგონა, თუ ასე უცებ ჩამოვიდოდი დენვერში“ — ამბობს ცქიტიშვილი.

ბრაზილიაში თოვლიანი მთები არაა და ილარიოსთვის ახალი შთაბეჭდილებაა კლდოვანი მთების ნახვა. კითხვაზე, აპირებს თუ არა თხილამურებით სრიალს, ნენე მცირე ხნით ჩაფიქრდა, მას პასუხი ვანდევეიჯმა დაასწრო — „არა“. გასაგებია, „ნაგიტსის“ გენერალურ მენეჯერს არ სურს, ბიჭი დაემტვრეს. მას ბრაზილიელის დიდი იმედი აქვს.

საერთოდ, დენვერში ყოველთვის კმაყოფილი არ ვიყავით სადრაფტო არჩევნებით. ვანდევეიჯი გვარწმუნებს, რომ ამჯერად ყველაფერი სხვაგვარად იქნება.

ცქიტიშვილს აშკარად აკლია რამდენიმე, ასე, ათი კილოგრამი კუნთი და ამიტომ ცოტა ჭირს მისი კარლ მელოუნის ან კრის ვებერის ოპონენტად აღქმა. თუმც მას შესანიშნავი სიმაღლე აქვს, თითქმის შვიდი ფუტია (213 სანტიმეტრი) და „დენვერის“ მაისურა პატარა მოუვიდა, თითქოს სკოლადამთავრებულს 12 წლის ბიჭის მაისურა ჩაეცვას.

სამაგიეროდ, წონის სიმცირე არ აწუხებს ნენე ილარიოს, მისი 118-კილოგრამიანი და 211-სანტიმეტრიანი სხეულით, შაკილ ონილი გამოვრიცხოთ და, დასავლეთის ყველაზე გოროზ მეფარეებთან თამამად შებმაც შეიძლება.



კიკი ვანდევეიჯი კვლავაც დენვერის შენებაშია

# კიკი, როდემდე?

**დეივ კრეიგერი**
*ROCKY MOUNTAIN NEWS*

**ახლა,** როდესაც დრაფტმა ჩაიარა და არჩევანი გაკეთებულია, შეგვიძლია, „დენვერ ნაგიტსის“ ახალ შენაძენზე ვილაპარაკოთ.

„დენვერმა“ ხანგრძლივად იმუშავა და იწვალა საიმისოდ, რათა დრაფტზე ორი თინეიჯერი — ნიკოლოზ ცქიტიშვილი (გამოითქმის სკიტს-ის-ვილი) და ნენე ილარიო და ორიც ვეტერანი — ტრავმებისადმი მიდრეკილი მარკუს კემბი და გადაბერებული მარკ ჯეკსონი აეყვანა. გენერალურმა მენეჯერმა კიკი ვანდევეიჯმა გასაოცრად იოლად დათმო გუნდის ერთადერთი ვარსკვლავი ანტონიო მაკდაიესი ამ ხალხის სანაცვლოდ. ის ფიქრობს, რომ ქომაგები იოლად შეეგუებიან „დენვერის“ ოლსტარელი ლიდერის წასვლას, რადგან მაკდაიესის გარშემო აშენებულმა „ნაგიტსმა“ ვერ გაამართლა.

ახლა ჯერი ახალთაობაზეა, ვანდევეიჯი ამ ბიჭებს ოქროს თაობად თვლის და უკვე მათ ირგვლივ აშენებს ახალ გუნდს, მესამედ ბოლო 12 წლის განმავლობაში. კიკი ვერ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ ორ უცხოელ ბიჭზე დაყრდნობილი გუნდი ისევე არ დაიშლება, როგორც მაკდაიესზე და უფრო ადრე დიკემბე მუტომბოზე დაყრდნობილება. ასე რომ, ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ლოდინი, რამდენი წელიწადი, ეს არ ვიცით, არც კიკიმ იცის და, მით უმეტეს, არც ნადრაფტალმა ბიჭებმა. ფაქტი კი ისაა, რომ 1995 წლის შემდეგ პლეი ოფში ვერ გასული „დენვერი“ იქ ვერც მომავალ სეზონს მოხვდება.

19 წლის ბრაზილიელი ნენე ილარიო ამბობს, რომ ის მზადაა, ნბა-ში სათამაშოდ. სკაუტთა მონაცემებით, ილარიო კარგი დამცველია და ეხერხება საკუთარ ფარქვეშ მოხსნები და დაფარებები. ის რეალურად არ გვინახავს ნამდვილ თამაშში და ვერ დავუშვებთ, რომ მეორე მუტომბოა, გვინდა კი რომ იყოს. დრაფტის მეხუთე ნომერი, „დენვერის“ მთავარი არჩევანი ნიკოლოზ ცქიტიშვილი ილარიოს სრული ანტიპოდია. ისაა სრულიად განსხვავებული ფორვარდის ტიპი, მოქნილი და მოძრავი. კარგად ატარებს ბურთს და კარგად ესვრის შორიდან, მაგრამ რამდენადაც ძლიერია შეტევაში, იმდენად მოუმზადებელია დაცვაში, თუმცა ამის გამოსწორება შეიძლება.

ცქიტიშვილი და ილარიო მომავლის „დენვერის“ პოტენციური ლიდერები არიან, თითოს ექნება მოედნის საკუთარი ნახევარი. ცქიტიშვილი მეტოქის მოედანზე, შეტევაში გაბატონდება, ილარიო კი დაცვას გაამაგრებს. მომავლის გრძელვადიანი გეგმა მოხაზულია. ასე რომ, ისღა დაგვრჩენია, ვიცადოთ, სანამ ევროპელი საოცრება არ იქცევა ახალ პაუ გასოლად და იქნებ ახალ დირკ ნოვიცკად, ხოლო ბრაზილიელი არ მიაღწევს დიკემბე მუტომბოს დონეს. ლოდინი — აი, ვანდევეიჯის სტრატეგია.

ვანდევეიჯი გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს დრაფტის მეორე წრეში 33-ე ნომრად აყვანილ ფორვარდ ვინსენტ იარბროს ტენესის უნივერსიტეტიდან. კიკი ამბობს — ეს ბიჭი პირველ რაუნდში ასაყვანი მოთამაშის მონაცემების პატრონია და მიკვირს, ვინსენტი ჩვენამდე რატომ არ აიყვანა არავინ.

ერთი რამ დავაფიქსიროთ, რომ ნბა არც იტალიაა, სადაც ბოლოს საქართველოს რესპუბლიკელი ცქიტიშვილი თამაშობდა და არც ბრაზილიური ლიგის „ვასკო და გამა“. ამ ბიჭებს ყველაფერი წინ აქვთ და მათი სურვილია, გუნდს გამოადგნენ, მაგრამ ისინი სხვა სამყაროდან არიან. ცქიტიშვილს იტალიაში იშვიათად უწევდა მოედანზე ყოფნა და არც ილარიოს აქვს თამაშის დიდი პრაქტიკა. სათამაშო წუთებს ისინი „დენვერში“ იშოვიან, იმ გუნდში, რომელსაც ახალი ცხოვრების და ახალ გზაზე დადგომაზე ფიქრის დიდი დრო აქვს, წარმატებები კი თითქმის არა.

# ნაცვლიშვილის ჩაყრილი მისიანებმა ამოყარეს

## სხვებმა იკითხონ, თორემ ვატუმ თავისი ქნა

**პორტუგალიის** ჩემპიონი კვლავ „ტელეკომია“ და არა ვახტანგ ნაცვლიშვილის „ოლივეირენსე“. ხუთშაბათ საღამოს ოლივეირენსეში ევროსეზონის ბოლო ოფიციალური შეხვედრა გაიმართა, რომელშიც საქართველოს ნაკრების კაპიტნის გუნდმა ფინალის მესამე მატჩიც წააგო, ანუ ჩემპიონი „ტელეკომი“ ჩემპიონად დარჩა.

ასე რომ, ქართული ლეგიონის ბარაქას ერთი ვერცხლიც შეემატა და ნიკა ცქიტიშვილის, ვლადიმერ ბოისას და ზაზა ფაჩულიას მონაგართან ერთად ორი ოქრო და ამდენივე ვერცხლი შეადგინა. თუმც სხვებისგან განსხვავებით, ნაცვლიშვილს ევროპიდან კიდევ სამი პრიზი მოაქვს — იგი პლეი ოფის, ფინალის და სათასო მატჩების საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს. პორტუგალიური ვებ-გვერდი გვაუწყებს, რომ „ვატუმ“ პლეი ოფში ყველა, მათ შორის ის კონკურენტებიც ჩამოიტოვა, რომლებმაც რეგულარულ ჩემპიონატში მას და მისიანებს აჯობეს.

პორტუგალიის ჩემპიონატის ბოლო მატჩშიც საუკეთესო ქართველი იყო. ნაცვლიშვილის დამსახურებაა, პირველი ნახევრის შემდეგ 18 ქულით ჩამორჩენილი „ოლივეირენსე“ თამაშის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე რომ დაწინაურდა — ქართველმა ამ მატჩში ჩაგდებული 28 ქულიდან შვიდი ერთწუთიან მონაკვეთში მიყოლებით ჩააგდო და თანაგუნდელები 92:86 დააწინაურა.

საფინალო სირენამდე ერთი წუთი რჩებოდა და ამ ვითარებაში როგორ წააგო „ოლივეირენსემ“, თავად ნაცვლიშვილი გვიამბობს, რომელსაც გუშინ პორტუგალიაში შევეხმაინეთ.

— საოცარი მატჩი წავაგეთ, უფრო სწორად, ზოგიერთმა ჩემმა თანაგუნდელმა აჩუქა მოგება „ტელეკომს“. მათ ერთი წუთი ვეღარ გაძლეს და იმდენი ქნეს, მეტოქეს მიყოლებით სამი სამქულიანი ჩააგდებინეს. ეს ყველაზე მეტად ჩვენს სლოვენიელ გამთამაშებელ ვალტერ ჯეკლინს ეხება, რომელიც ბოლო წუთზე პასს არავის აძლევდა, თვითონ კი ვერაფერს ახერხებდა. ის სამქულიანებიც მისმა კაცმა ჩაგვიყარა და გაუგონარი მატჩი წავაგეთ. ყველაზე მეტად მაშინ მიქარა, როცა თამაშის დასრულებამდე 6 წამით ადრე შორიდან შეუტია, მე კი ფართან მარტო ვიდექი და პასი არ მომცა. ისეთი სიტუაცია შეიქმნა, თითქოს რომელიღაც სკოლის გუნდები თამაშობდნენ და ძლიერმა სუსტი გამოიჭირა. არ მინდოდა, სერია მშრალად წაგვეგო, დასანანია, ასე რომ მოხდა...

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ 28 ქულასთან ერთად ვახტანგ ნაცვლიშვილმა 7 მოხსნა, 5 ჩაჭრა, 4 პასი და 1 დაფარებაც მიითვალა, მაგრამ რაღ გინდა, მისი ნაჯაფი ერთ წუთში წყალში ჩაიყარა და „ოლივეირენსე“ მეორეობას დასჯერდა.

**ირაკლი გერტაია**



ვახტანგ ნაცვლიშვილმა გუნდური ვერცხლი და პირადი ტიტულები ირგუნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ვაჟთა მე-3 ჩემპიონატი. ბათუმი

# ბართლომეს დღე ბათუმში

**ჭადრაკის** ვაჟკაცებს უმთავრესი საქმის დამატებით გარჩევა აღარ დასჭირდათ: 13 ტურის შემდეგ, ტაიბრეიკებამდე გაირკვა, რომ ევროპის მე-3 ჩემპიონს ბართლომეი მაჩეიხა ჰქვია, რომელმაც ტიტული ებრაელი ემილ სუტოვსკისგან გადაიბარა და იმან კი რუსი პაველ ტრეგუბოვისგან. ტიტულის წონაზე კამათი შეიძლება, რადგან ევროპის ნაღდი ჩემპიონობა ფაქტობრივად მსოფლიოს ჩემპიონობასაც ნიშნავს (ვიში ანანდი რომ გამოვრიცხოთ), ამიტომ აზრი ჩამოვაყალიბოთ ასე: მაჩეიხა ევროპის საჭადრაკო მასათა ჩემპიონია, არა — ელიტის, თუმც პოლონელის მიღწევას ამით მხოლოდ ოდნავი ჩრდილი მოეფინება. შვეიცარიული სისტემის უმძიმეს ხლართებში, როცა პარტიის მოგება მხოლოდ ხელს გიშლის (მომდევნო ტურში უფრო ძლიერ მეტოქეს გამოგიწერენ), ძნელია სულ თავში დარჩენა, როგორც ეს მაჩეიხამ შეძლო. ჩემპიონატის ეკვატორის მისადგომებთან პოლონელი ცხრილის თავში მოხვდა და მერე მხოლოდ სხვები იძირებოდნენ.

ბოლო ტურში მაჩეიხას პროგრამა-მინიმუმი შავებით ყაიმი გახლდათ, რაც მინიმუმ საჩემპიონო ტაიბრეიკში გაიყვანდა. პოლონელის პირისპირ დაფას უჯდა შვეიცარიის მოქალაქე და „დონე" დიდოსტატი ვადიმ მილოვი, რომელიც მეტოქეზე რეიტინგულად აღმატებული გახლავთ და სატურნირო პრაქტიკაც მეტი აქვს. მილოვისთვისაც მოგებას ფრიადი მნიშვნელობა ჰქონდა და, ცხადია, შეუტია, როგორც თეთრებით თამაშის დროს გახლავთ მიღებული. მაჩეიხა არ ჩაიკეტა, პაიკებით ცენტრში აქტივობა დაიწყო და დაფის უმთავრეს უბანზე (როგორც ჭადრაკის წიგნები გვამცნობენ) დიდი მუხტი დაგროვდა. ჭექა-ქუხილი არ ყოფილა, რადგან მაჩეიხამ უცებ ჩაკეტა ცენტრი და მეფის ფრთის ვიწრო ზოლზე შემოუტია თეთრების ბანაკს. პოზიციის დაგმანულობას დაფაზე შეამჩნევთ და ამ პირობებში მაჩეიხას სწორხაზოვანი შეტევა არ გამოვიდა. პოლონელმა შემოვლაზეც იფიქრა, გაწირა პაიკები, მაგრამ მილოვის პოზიცია კარგი ბეტონით იყო ნაშენი და ბოლო-ბოლო პოლონელი ყაიმზეც სიხარულით იტყოდა დასტურს. სხვადასხვა ფერის კუთა ენდშპილის წარმოქმნისთანავე ყაიმი გაფორმდა და სულ მალე პოლონელმა სიამით შენიშნა, რომ მის ახლო მდევართ, სერგეი ვოლკოვს და მიხაილ გურევიჩს, ასევე ზავი გაეფორმებინათ, რაც მის ჩემპიონობას ნიშნავდა.

ამასობაში ქართველმა მერაბ გაგუნაშვილმა შავებით მოუგო ნამეტნავად პერსპექტიულ ალექსანდრ გალკინს რუსეთიდან და მოხვდა იმ ოთხეულში, რომელმაც მაჩეიხასგან ნახევარი ქულის სავალზე მიაჭრა ფინიშს და ახლა ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები უნდა გაენაწილებინა. ნახევარფინალურ ტაიბრეიკში გაგუნაშვილს უგამოცდილესმა გურევიჩმა მოუგო და იმავე გურევიჩმა ვერცხლის მედალიც მოსტაცა რუს ვოლკოვს. სანუგეშო ტაიბრეიკში გაგუნაშვილმა ორჯერ ზედიზედ მოუგო სომეხ გაბრიელ სარგისიანს და მე-4 ადგილზე გავიდა.

**დავით ბულია**

**საბოლოო ვითარება**

*1. ბართლომეი მაჩეიხა (პოლონეთი) 9,5; 2. მიხაილ გურევიჩი (ბელგია) 9; 3. სერგეი ვოლკოვი (რუსეთი) 9; 4. მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო) 9; 5. გაბრიელ სარგისიანი (სომხეთი) 9; 6-9. ვუგარ ჰასიმოვი (აზერბაიჯანი), შარუნას შულსკისი (ლიტვა), ვადიმ მილოვი (შვეიცარია), კარენ არსიანი (სომხეთი) 8,5.*





მაია ჩიბურდანიძემ ძლიერ სქესთან ჭიდილში ექვსი ქულა დააგროვა

# მუხის ფოთლის ჩრდილში



*ვაკის პარკში კიდევ ერთხელ გამოცოცხლდა „მუხის ფოთოლი" და თავის ფოთლებქვეშ მიიღო 8-დან 16 წლამდე ჩოგბურთელები, რომლებიც ხუთ ასაკობრივ ჯგუფში შეეცილებიან ერთმანეთს პირველობას. ვგულისხმობთ საჩოგბურთო კლუბ „მუხის ფოთოლის" ღია ტურნირს, რომელსაც ამ ასპარეზობით საქართველოში ჩოგბურთის პოპულარიზაცია და პერსპექტიულ სპორტსმენთა გამოვლენა დაუსახავს მიზნად.*

— გამარჯვებულენი და პრიზიორები ფასიანი საჩუქრებითა და დიპლომებით დაჯილდოვდებიან, — გვეუბნება საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ზურაბ ქაცარავა — ცხადია, ეს დამატებითი სტიმულია მონაწილეთა მოსახიდად, მაგრამ, რაკი ამ კორტების საფარი ასფალტისაა, ზოგი ჩოგბურთელი ამგვარ სარბიელზე გამოსვლას მაინც თავს არიდებს. გაისიდან, როგორც კლუბის პრეზიდენტი გოგი გახოკიძე გვპირდება, სამიდან ორ კორტზე ასფალტს აყრის და გრუნტიან საფარს მოაწყობს. ამას გარდა, ეს ასპარეზობა, როგორც მესამე კატეგორიის ტურნირი, შეტანილი და დამტკიცებულია საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის 2002 წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში. ეს ხელს შეუწყობს ამ ტურნირის პოპულარობასა და პერსპექტივას. ტურნირის ამგვარმა მომავალმა თავად „მუხის ფოთოლის" პრეზიდენტსაც სტიმული მისცა. ჯერ იყო და, შარშან სარბიელი მოაწესრიგა, მერე ტრიბუნაც აღადგინა, მესამე კორტიც მოაწყო, რათა მას საერთაშორისო ასპარეზობების მასპინძლობის საშუალება მიეცეს, ახლა კი შენობასაც არემონტებს, გაზის მილებიც გაიყვანა. ამ სამუშაოების დასრულების მერე აქ ვარჯიში და შეჯიბრება უფრო სასიამოვნო გახდება.

— ამ შენობაში გვექნება კეთილმოწყობილი გასახდელები, საშხაპეები, საკონფერენციო დარბაზი — გვეუბნება კლუბის პრეზიდენტი გოგი გახოკიძე და თან სარემონტო სამუშაოებს გვათვალიერებინებს. — ერთ დროს აქ ყველაფერი კარგად იყო მოწყობილი. როცა ეს კორტები შევიძინეთ, საქმეს დიდი ენთუზიაზმითა და გატაცებით შევუდექით. არაერთ შეჯიბრებასაც ვუმასპინძლეთ, მათ შორის 1990 წელს ბალტიისპირეთისა და საქართველოს ვეტერან ჩოგბურთელთა ტურნირსაც, მაგრამ მერე, თბილისში არეულობა რომ დაიწყო, აქაურობა გაიძარცვა. რისი მოპარვაც შეიძლებოდა, ყველაფერი მოიპარეს, მათ შორის კორტების ირგვლივ შემოვლებული მავთულის ბადეც. კორტების საფარის წაღება რომ შესაძლებელი ყოფილიყო, იმასაც წაიღებდნენ. და მაინც, გული არ გაგვიტეხია და საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის თანადგომითა და შეგულიანებით ეს ბაზა აღვადგინეთ.

— მაშინაც კი, როცა ჩვენმა დროებამ აქაურობას თავისი დაღი დაასვა, „მუხის ფოთოლს" საქმე არ შეუწყვეტია — გვიამბობს ისევ ზურაბ ქაცარავა — რაკი ეს კორტები მაშინ მოუწესრიგებელი იყო, კლუბმა თავისი შეჯიბრება „მზიურის" კორტებზე მოაწყო. თავად მისი წევრები არაერთ შეჯიბრებაში გამოვიდნენ, მათ შორის უცხოეთის ტურნირებზეც.

— ამ გაზაფხულის მიწურულს თქვენს კორტებზე დაცვის და სანაგრაულო ძაღლების საქართველოს ღია გამოფენა-ჩემპიონატის გამართვა რამ გაფიქრებინათ? — ვეკითხებით გოგი გახოკიძეს.

— ასეთი თხოვნით საქართველოს კინოლოგიის ფედერაციამ მოგვმართა და უარი ვერ ვუთხარით. ან რატომ უნდა გვეთქვა? თუ ყველანი ერთმანეთს არ დავეხმარეთ და მხარში არ ამოვუდექით, შორს ვერ წავალთ. იმ ჩემპიონატის მასპინძლობით სტუმრები ისეთი კმაყოფილნი დარჩნენ, რომ გვთხოვეს, ოქტომბერში გასამართი კონკურსიც აქ ჩაგვატარებინეთო. მანამ ჩვენი კორტები ასფალტისსაფარიანია, უარს არ ვეტყვით, თუმცა, მათი მასპინძლობა მომავალშიც შეიძლება — ერთ კორტზე ხომ კვლავაც ასფალტის დატოვებას ვაპირებთ.

— ეს ყველაფერი მაინც კინოლოგთა პრობლემებია. ჩვენ კი კვლავ საჩოგბურთო თემას დავუბრუნდეთ. უშუალოდ ბავშვებთან ვინ მუშაობს?

— ბავშვებს ვიქტორ მესხიშვილი ავარჯიშებს. ერთ დროს თავადაც ჩოგბურთელი იყო, მთავარი კი ისაა, რომ იგი ამ საქმის სპეციალისტია. ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა და მონდომებითაც მუშაობს. ამას გარდა, გამაჯანსაღებელ ჯგუფებსაც ვმასპინძლობთ. ცხადია, ეს უფასო სიამოვნება არ არის, მაგრამ სხვებთან შედარებით საკმაოდ იაფი — 1 საათით 4 ლარი ღირს ვარჯიში. როცა ჩვენი ბაზის რემონტი მთლიანად დასრულდება, ამ სიმწვანეში ვარჯიშსა და დასვენებას აღარაფერი აჯობებს.

**ავთანდილ ბუჩიშვილი**



„მუხის ფოთოლი" ახლო ხედით

ჰოკეი

# ჰაშეკს სანატრელ-საოცნებო აღარაფერი დარჩა. ჰოდა, წავიდა!



დომინიკ ჰაშეკი კარიდან გავიდა და აღარ დაბრუნდება

„თუ ოდესმე კიდევ ვითამაშებ ჰოკეის, მხოლოდ ფორვარდის ამპლუაში მიხილავთ. დროა, მეკარის ფორმას გამოვეთხოვო. მე მივდივარ!" — თქვა დომინიკ ჰაშეკმა პრესკონფერენციაზე, რომელიც თავად იწვია საგანგებოდ. დიდმა მეკარემ შინ, ჩეხეთში დაბრუნება და მშვიდი ცხოვრება არჩია.

„სტენლის თასის მოგება ჩემი ცხოვრების მიზანი იყო და მას შემდეგ, რაც ნატვრა ამიხდა, ვგრძნობ, ველარ ვითამაშებ ჩვეულ დონეზე" — გალუხდილად თქვა მან და ისლა დაგვრჩენია, დავეთანხმოთ. თავის 21-წლიან პროფესიულ კარიერაში დომინიკმა ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა და პლანეტის საუკეთესო მეკარის სახელიც დაიგდო. სამწუხაროდ, ყველაფერს აქვს დასასრული ამქვეყნად, ასე, რომ „დომინატორის" სასწაულებს ველარ ვიხილავთ. ცნობილია, რომ ჰაშეკი თავისი ბიზნესის განვითარებას აპირებს. იგი ხომ ტანსაცმლის ჩეხური ფირმის „დომინატორ ქლოზინგ"-ის თანამფლობელია. ჰოდა, შეეცდება, ამ ფირმის ნაწარმი აშშ-ში გაყიდოს.

შეგახსენებთ, რომ ჰაშეკი ამ სეზონის წინ დეტროიტში იმიტომ გადავიდა, რათა სტენლის თასი მოეგო. მისმა თამაშმა ბევრად განაპირობა „წითელფრთიანთა" ლიგაში გაბატონება ოთხწლიანი პაუზის შემდეგ. თვით დეტროიტის მფლობელმა მაიკ ილიჩმაც განაცხადა გულახდილად, უჰაშეკოდ თასს ვერ მოვიგებდითო.

ავთანდილ სვანიძე
ლონდონიდან



# უიმბლდონი 2002

# დრო იყო, ქალი იხსენებოდა



მარტინა ნავრატილოვა შვილისტოლა გოგოებს ახლაც უგებს

## ლეგენდას შია

ხუთშაბათ საღამოს ის-ის იყო, მიმოხილვის წერასა და თბილისში გაგზავნას მორჩი და „ოლ ინგლენდ კლაბიდან“ შინ წასასვლელად შევემზადე, რომ პრეს-ცენტრში გამოაცხადეს, მარტინა ნავრატილოვასთან შეხვედრის მსურველები მეორე, პატარა საინტერვიუ ოთახისკენ გაემართეთო.

ლონდონში უკვე ბნელოდა და გვარიანად ციოდა, მას-მედიისთვის განკუთვნილ გიგანტურ სამსართულიან კომპლექსშიც თითქმის აღარავინ იყო. მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანსა და ცხრამეტი დიდი სლემის ტურნირის გამარჯვებულთან, წყვილებსა და ერთეულებში მოგებული ტიტულების რაოდენობით მოუხსნელი რეკორდების პატრონ ჩეხ-ამერიკელთან შესახვედრად სულ ხუთიოდე ჟურნალისტი გამოცხადდა.

უიმბლდონზე წინა და ახლანდელი მუშაობის დროსაც არაერთ ვარსკვლავთან მომიხდა საუბარი, მაგრამ აქამდე კითხვის დასმის შიში არასოდეს გამჩენია. ძველ ჯინსებსა და ნაცრისფერ გახუნებულ კოსტუმში გამოწყობილი მარტინა შემოსვლისთანავე ყველას მიესალმა, გაიღიმა, საშინლად დაღლილი ვარ, მშია და თან კიდევ BBC-სთვის გადაცემა მაქვს მოსამზადებელი, იმედია, დიდ ხანს არ მაწვალებთო, განაცხადა. კარგა ხანი გონებაში ერთი [illegible]ეირიანი კითხვაც არ მომსვლია.

45 წლის ცოცხალი ლეგენდა გარეგნულად თავის ასაკზე ახალგაზრდულად სულაც არ გამოიყურება, მაგრამ სულ ორი საათით ადრე ცენტრალურ კორტზე მისი თამაში რომ გეხილათ, ამის ნახევრის გეგონებოდათ. წყვილებში თამაშის არანკლებ დიდოსტატ ნატაშა ზვერევასთან ერთად მოასპარეზე მარტინას ბადესთან ელვისებური რეაქცია და უბადლო ტექნიკა ჯერაც არ დაუკარგავს, კორტზე მეწყვილეზე არანაკლებ კარგად მოძრაობდა და შვილად შესაფერის მეტოქეებს, ადრიანა და ანტონელა სერა ძანეტებს მოულოდნელი გადაწყვეტილებებით წარამარა აბნევდა. სულაც არ არის გასაკვირი, რომ გასულ კვირაში ისტბორნში ნავრატილოვამ კლასიფიკაციით 21-ე ტატიან პანოვა ერთეულებშიც დაიბრიყვა.

ბოლოს და ბოლოს, ხმა ხომ უნდა ამომეღო და მეც ნახევრად ხუმრობით ვიკითხე, ვინ წყვილებში ყველა დროის საუკეთესო მოთამაშე — მარტინა ნავრატილოვა თუ ნატაშა ზვერევა-მეთქი. როდესაც არასერიოზული პასუხის ნაცვლად ამერიკელმა ძველ-ახალი, ნაცნობი და უცნობი გვარების ჩამოთვლა დაიწყო, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ „დიროლის“ თუ „ორბიტის“ რეკლამების არ იყოს, ზოგჯერ ლაპარაკს ლეჭვა ჯობია.

**— მარტინა, ერთეულებში თამაშს მომავალშიც აპირებთ?**

— ეს ძალიან დიდი ცდუნებაა ჩემთვის, რადგან ვიცი, რომ WTA ტურზე საკმაოდ ბევრი ჩოგბურთელის გამწარება ახლაც შემიძლია — ჩემი ფიზიკური მწვრთნელის დამსახურებით დღესდღეობით 90-იანების შუა პერიოდზე უკეთაც კი დავრბივარ. საუკეთესო 5-8 მოთამაშეს ნაღდად ვერაფერს მოვუხერხებ, მაგრამ დანარჩენების წინააღმდეგ ურიგო შანსები არ მექნება. ოღონდ საქმე ის არის, რომ ერთეულებში ასპარეზობა დიდ მსხვერპლს მოითხოვს.

**— რა მსხვერპლს?**

— უნდა დავემშვიდობო მეგობრებთან ყოველდღიურ შეხვედრა-ლაყბობას, შვედეთში დისა და ჩეხეთში დედაჩემის მოსანახულებლად დრო აღარ მექნება, რაც მთავარია, ჩემს ფინიას ველარ გავწვრთნი... დარწმუნებული არ ვარ, რომ ყველაფერ ამას მსურს შეველიო და დღეში რამდენიმე საათი სერიოზულად ვივარჯიშო.

***— ის, რომ ამხელა შესვენების შემდეგ და ასეთ ასაკში თამაშის განახლების მიუხედავად WTA ტურზე უმეტესობას ისევ ჯობიხართ, ქალთა ჩოგბურთის არცთუ მაღალ დონეზე ხომ არ მიანიშნებს? (ეს ინტრიგნული კითხვა მე არ დამისვამს).***

— რატომ არ ამბობენ იგივეს სპორტის სხვა სახეობაზე? როდესაც მარიო ლემიე და მაიკლ ჯორდანი დიდ სპორტს დაუბრუნდნენ და ისევ საუკეთესოები აღმოჩნდნენ, არავის უთქვამს, რომ NHL ან NBA არაფრად ვარგა. ასაკი, ჩემი აზრით, ფიზიკურზე არანაკლებ ფსიქოლოგიური ელემენტია, მე თავს ძველებურად კარგად ვგრძნობ და არ მესმის, კარგად თამაში რატომ ვერ უნდა შევძლო.

***— წლევანდელი უიმბლდონის მთავარ ფავორიტებად ვინ მიგაჩნიათ?***

— მე მარტო დებ უილიამსებს და ჯენიფერ კაპრიატის დავასახელებდი, რალაც არ მგონია, რომელიმე სხვა ჩოგბურთელმა მოახერხოს ტიტულისთვის ბრძოლაში გარევა.

***— თქვენი აზრით, ახლანდელი ვარსკვლავები მეტისმეტად ამპარტავნები და განებივრებულნი ხომ არ არიან?***

— დღეისთვის ქალთა ჩოგბურთში სულ სხვაგვარი სიტუაციაა. 60-70-იან წლებში ბილი ჯინ კინგი და მარგარეტ კორტი ლამის ძალით ეპატიჟებოდნენ ხალხს, ჩვენს სანახავადაც მოდითო, ჩემი და კრის ევერტის პაექრობის დროს მდგომარეობა ცოტა გამოსწორდა, მაგრამ დღეისთვის ეს უკვე დიდი ბიზნესი, გასართობი ინდუსტრიაა. თუ ანა კურნიკოვას აიღებ, მას ლამის ყველა იცნობს, ტრიბუნებს მარტო გარეგნობითაც ავსებს. მეორე მხრივ, ვარსკვლავებზე ზეწოლაც გაცილებით დიდია, ორგანიზატორები, სპონსორები თავისას ითხოვენ, ყველას გულს ვერ მოიგებ.

***— წლეულს წყვილებში თუ გაიმარჯვებთ, უიმბლდონის ყველაზე ახაკოვანი ჩემპიონი გახდებით, ასეთ რეკორდებზე ფიქრობთ-ხოლმე თამაშის დროს?***

— სიმართლე გითხრათ, კარიერის დასაწყისში ძალიან მინდოდა, ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი გავმხდარიყავი, მაგრამ ყველას დაავიწყდა ჩემთვის ეთქვა, რომ შარლოტ დოდმა ტურნირი 15 წლისამ მოიგო და უკვე კარგა ხნით დავაგვიანე. სტატისტიკას ყურადღებას კარგა ხანია, აღარ ვაქცევ. გასულ კვირაში ისტბორნში როცა მახარეს, WTA ტურის რეკორდსმენი გახდი 45 წლის და 7 დღის ასაკში ერთეულების მატჩის მოგებითო, გავიხუმრე, საათებს ხომ ვერ დამიზუსტებთ-მეთქი. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი ეს არის: უამრავი ადამიანი მწერს, რომ ახლა თამაშით მათთვის მისაბაძ მაგალითს წარმოვადგენ, ყველა წარმატებას მისურვებს. მიხარია, რომ ჯერაც შემიძლია მაყურებლისთვის სიამოვნების მინიჭება, მით უმეტეს, რომ თავადაც არანაკლებ სიამოვნებას ვიღებ ჩოგბურთისგან.

***— რვაწლიანი შესვენების შემდეგ ცენტრალურ კორტზე დაბრუნებისას როგორ იგრძენით თავი?***

— როგორ და, ამდენი ხანი სად ოხრობაში ვიყავი-მეთქი. სინამდვილეში, ცენტრალურ კორტზე მხოლოდ იმიტომ მოვხვდით, რომ ტიმ ჰენმანმა სწრაფად მოიგო და ადგილი გათავისუფლდა. როდესაც გავიგე, რომ იქ უნდა გვეთამაშა, ნერვიულობისგან კინაღამ ფრჩხილების კვნეტა დავიწყე, ნატაშას ვკითხე, არ ღელავ-მეთქი, რადგან მას არაფერი ეტყობოდა. მან ნეკა თითის ნაწილი დამანახა, სულ ამდენითო და მეც ცოტათი დავწყნარდი. კარგი იყო, რომ ტრიბუნებს ბლომად ხალხი შემორჩა ჩვენს სანახავად, ძველი დრო გამახსენდა.

რამდენიმე წუთში მარტინამ ბოდიში მოიხადა, ჭამის გარდა უკვე ვეღარაფერზე ვფიქრობ, უნდა დაგტოვოთო, სათვალე გაიკეთა და ჩოგბურთელთა რესტორნისკენ კიბეებს აუყვა. 20 წლით უმცროს, მისი მიღწევების მეათედის არმქონე, ნაპატივები ვარსკვლავებისგან განსხვავება მართლაც თვალშისაცემი იყო.

## ეისი შენ!

წლევანდელ უიმბლდონს ლონდონისთვის წარმოუდგენელი, ცხელი და მშრალი ამინდი დაერთო. ტურნირის დასაწყისში ბუქმეიკერები 1:1000-თან პპორდებოდნენ იმ მამაცს, ვინც ფულს დადებდა, რომ მთელი ორი კვირის მანძილზე თამაში ერთხელაც არ შეწყდებოდა წვიმის გამო. ჩემპიონატის დაწყებიდან აგერ უკვე მეხუთე დღე იწურება, „ოლ ინგლენდ კლაბში“ კი ჯერ წვიმის წვეთიც არ ჩამოვარდნილა. ფსონები ცოტათი შემცირდა. მაგრამ ტურნირის ყველაზე დიდ მოულოდნელობამდე ჯერ კიდევ კარგა ხანია დარჩენილი, ამინდის პროგნოზი კი მომდევნო კვირისთვის სიხარულის საბაბს ცოტას იძლევა.





გრეგ რუზეცკი

მარატ საფინის, პიტ სამპრასისა და ანდრე აგასის ერთ დღეს დამარცხების შემდეგ ვაჟთა ბადის ქვედა ნახევარში ბურთი და მოედანი ვეტერან ეისმენებს დარჩათ. მოულოდნელად ფინალში გასვლის შესანიშნავი შესაძლებლობა ტყვიასავით მოწოდებისა და აწოწილი ტანის პატრონ ერთბაშად რამდენიმე ჩოგბურთელის — მარკ ფილიპუსისს, უეინ არტურსს, რიჩარდ კრაიჩეკსა და გრეგ რუზეცკის გაუჩნდათ.

4 სეტში შიშისმომგვრელი 33 ეისის დახმარებით პირველმა მერვედფინალში ავსტრალიელმა მარკ ფილიპუსისმა შეაბიჯა. გერმანელმა ნიკოლას კიფერმა შეხვედრა რიგიანად დაიწყო და თავიდან დაწინაურდა კიდეც, თუმცა „სკადის“ გახურება და მისი მეტოქის სტატისტად ქცევა ერთი იყო — ფილიპუსისის მოწოდებაზე კიფერი თავის სკამზე რომ დარჩენილიყო და ძველი გაზეთი ეკითხა, ბევრი არაფერი შეიცვლებოდა.

ავსტრალიელის აულებელი მოწოდებებისა ორმაგი შეცდომების უილაჯოდ შემყურე გერმანელს მალე ნერვებმაც უმტყუნა, სახეზე საკლავად შემზადებული ბატკნის ეირი დაედო და 6:3, 3:6, 4:6, 2:6 დასრულებული მატჩის ბოლოს წინააღმდეგობის გაწევასაც აღარ ცდილობდა.

„ორივემ ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ 13 ორმაგ შეცდომას თუ არ ჩავთვლით, ძალიან უკმაყოფილო არ ვარ. იმედია, მომდევნო შეხვედრაში უკეთ გავირჯები — აღნიშნა „სკადმა“, რომელსაც მუხლის აურაცხელი ტრავმისა და სამი ოპერაციის შემდეგ ექვს თვეში ერთხელ სინთეტიკური ხრტილის გამოცვლა სჭირდება — თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ნემსების გაკეთებასაც კი ვერ ვიტან, ეს სასიამოვნო პროცესი ნამდვილად არ არის.“

ტრავმებისგან გამწარებული ფილიპუსისის თქმით, ამდენმა უიღბლობამ მას ყველაფრის მიმართ შეუცვალა დამოკიდებულება: „მესამე ოპერაციის შემდეგ ორი თვე ლოგინსა და ინვალიდის სავარძელში გავატარე. საკუთარ თავს ხშირად ვეკითხებოდი, ბედნიერი ხარ თუ არა-მეთქი და მივხვდი, რომ მაიამიში ცხოვრება და სპორტული მანქანების კოლექცია ბევრს არაფერს მაძლევდა, სწორედ ამიტომ ორივეს გამოვეთხოვე. ადრე მეგონა, წინ უამრავი სეზონი მქონდა და კიდევ უფრო დიდი წარმატებები მელოდა, მერე კი ექიმებმა განმიცხადეს, მორჩა, პროფესიულ სპორტს უნდა გამოეთხოვოო. დანებება არ მიფიქრია და აი, ახლა აქ ვარ, ჩემი კარიერა თითქოს ხელმეორედ იწყება.“

„სკადის“ მეტოქე მერვედფინალში 1996 წლის უიმბლდონის ჩემპიონი რიჩარდ კრაიჩეკი იქნება. ახმახმა ჰოლანდიელმა, ფილიპუსისზე მეტი — ზუსტად 20 თვე რომ გაუცდა, მესამე წრეში ანდრე აგასის გამამწარებელი ტაილანდელი ბუდისტი პარადორნ სრიჩაპანი დაიბრიყვა 7:6 (7:5), 6:4, 6:2.

„თანამედროვე ტექნოლოგიები რომ არა, ალბათ, სულაც ორი-სამი წელი გამიცდებოდა ოპერაციების შემდეგ, ასე კი, მუხლის ლამის ხელმეორედ აწყობის მიუხედავად, ვარჯიში 1999-ში სულ რამდენიმე კვირაში დავიწყე. ვინ იცის, 20-30 წელიწადში იქნებ „ვარსკვლავური გზის“ მსგავსი ფანტასტიკური ლაზერული აპარატები მოიგონონ, ექიმი გეიმებს შორის შესვენებაზე გიმკურნალებს და პირდაპირ თამაშს გააგრძელებ“ — გაიხუმრა ჰოლანდიელმა.

დიაცებს შორის ნამდვილი ტურნირი მხოლოდ მეორე კვირაში, მეოთხედფინალში ბობოლების შეჯახების შემდეგ იწყება. მანამ კი მესამე წრეს მხოლოდ ერთმა ფავორიტმა — ბელგიელმა კიმ კლაისტერსმა ვერ უწია. ლეიტონ ჰიუიტის გულის მურაზი რუს ელენა ლიხოვცევას ემსხვერპლა 6:7 (5:7), 2:6.

### ვაჟები

**მესამე წრე**

**არნო კლემანი** (საფრანგეთი) — ოლივიე როშუ (ბელგია) 6:0, 7:5, 6:3; **ნიკოლას ლაპენტი** (22, ეკვადორი) — ანდრეი პაველი (15, რუმინეთი) 3:6, 3:6, 7:6 (7:2), 6:4, 6:2; **დავიდ ნალბანდიანი** (28, არგენტინა) — ჟორჟ ბასტლი (შვეიცარია) 6:2, 6:2, 6:2; **გრეგ რუზეცკი** (23, ბრიტანეთი) — ენდი როდიკი (11, აშშ) 6:3, 6:4, 6:2; **ქსავიე მალისი** (27, ბელგია) — ევგენი კაფელნიკოვი (5, რუსეთი) 7:6 (7:4), 7:5, 6:4; **უეინ არტურსი** (ავსტრალია) — ტეილორ დენტი (აშშ) 7:6 (7:2), 7:6 (7:3), 6:7 (4:7), 7:6 (7:5); **რიჩარდ კრაიჩეკი** (ჰოლანდია) — პარადორნ სრიჩაპანი (ტაილანდი) 7:6 (7:5), 6:4, 6:2; **მარკ ფილიპუსისი** (ავსტრალია) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 3:6, 6:3, 6:4, 6:2

### ქალები

**მესამე წრე**

**ლაურა გრანვილი** (აშშ) — მარი პიერსი (საფრანგეთი) 3:6, 6:4, 6:4; **ამელი მორესმო** (9, საფრანგეთი) — ანასტასია მისკინა (18, რუსეთი) 6:4, 6:2; **სერენა უილიამსი** (2, აშშ) — ელს კალენსი (ბელგია) 7:6 (7:5), 7:6 (7:2); **ჯენიფერ კაპრიატი** (3, აშშ) — დაჯა ბედანოვა (ჩეხეთი) 6:4, 6:2; **ელენა დემენტიევა** (საბერძნეთი) — მირიამ ორემანსი (ჰოლანდია) 7:6 (7:5), 6:4; **დანიელა ჰანტუხოვა** (11, სლოვაკეთი) — მაია მატევჟიჩი (სლოვენია) 6:4, 6:4; **ელენა დოკიჩი** (7, იუგოსლავია) — ნატალი დეში (25, საფრანგეთი) 7:5, 6:2; **ჩანდა რუბინი** (აშშ) — ტატიანა პანოვა (21, რუსეთი) 6:4, 6:1



REUTERS

# დიეგოც მოსულაა




დღეს კი ცარიელი და წყნარია იოკოჰამას სტადიონი, მაგრამ ხვალ იქ დიდი ხმაური იქნება. ფინალია. ბრაზილიელები და გერმანელები დარჩენილ ბილეთებს ინაწილებენ.

იოკოჰამაში ფინალია, მაგრამ კორეელებს თავიანთი მცირე ფინალი აქვთ — მატჩი მესამე ადგილისთვის. ამიტომ სეულში კვლავაც კარგად იყიდება ქვეყნის ახალი ეროვნული გმირის, გუს ჰიდინკის პლაკატები. ხალხმრავლობაა სან პაულუს მთავარ გამზირზე, პაულისტა ავენიუზე, სადაც იქაურები ბრაზილიელთა ეროვნული სიმბოლოებით დაზნექილ დახლებს მისდგომიან.

მაგან ბრაზილიელ მოქანდაკეს კი რიო დე ჟანეიროს პლაჟზე ქვიშით გამოუქანდაკებია ეროვნული ნაკრები. ამ მოქანდაკეს ლეოპოლდო რიუში ჰქვია.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის წინ საქმე მოემატათ ტაილანდის ფოსტის მუშაკებს. ქვეყნის გაზეთებს და ტელეგადაცემებს უამრავი პრიზი და ფულადი ჯილდო დაუწესებიათ იმათთვის, ვინც ფინალური შეხვედრის შედეგს, კუთხურების ოდენობას, შემადგენლობებს და ათას სხვა რამეს გამოიცნობს.

ამასობაში კი ყველას ეგონა, რომ არგენტინის ნაკრების გავარდნით გულგატეხილი დიეგო მარადონა მსოფლიო ჩემპიონატზე აღარ ჩავიდოდა. მაგრამ მარადონამ მაინც გამოიყენა დიდი წვალებით მიღებული ვიზა და ჰავანიდან ტოკიოში ჩაგორდა.









სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კვლაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge